# ახალგაზრდა ივერიელი

[illegible] გამოდის 1921 წლიდან

ხუთშაბათი 29 ნოემბერი № 132 (11618) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესტონეთის დელეგაცია საქართველოში

## შეხვედრა საქართველოს უზენაეს საბჭოში

27 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა **ზვიად გამსახურდიამ** მიიღო ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბატონი **ედგარ სავისაარი.**

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ და კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ ორივე მხარისათვის საინტერესო ფართო წრის აქტუალურ საკითხებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო პრობლემების ერთობლივი გადაჭრის მიზნით, რომლებიც თავს იჩენენ გარდამავალი პერიოდის პირობებში, როგორც ესტონეთში, ისე საქართველოში. ბატონმა ედგარ სავისაარმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ყალიბდება ახალი სახელმწიფო ინსტიტუტები ესტონეთში, სიძნელეებზე, რომლებსაც აწყდება რესპუბლიკის მთავრობა. მან თქვა, რომ ესტონეთში დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს მოვლენების განვითარებას საქართველოში და ესტონელ ხალხს გულწრფელად ახარებს უკანასკნელი სამოცდაათი წლის მანძილზე პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგები.

თავის მხრივ ბატონი ზვიად გამსახურდია სტუმრებს ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველი ნაბიჯების შესახებ. ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გარდამავალი პერიოდი ჩვენში გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების ახალი სტრუქტურების შექმნისათვის გამიზნულ ღონისძიებათა პროგრამის თანდათანობით განხორციელებას; აღინიშნა, რომ უწინარეს ყოვლისა, სანამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა გამოცხადდებოდეს, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მტკიცე ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ სიგუა,** საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბატონები **აკაკი ასათიანი** და **ნემო ბურჭულაძე,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი **ოთარ მელქაძე,** საქართველოს უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეები, პრესცენტრის ხელმძღვანელი, მინისტრები, ესტონეთის დელეგაციის წევრები, სხვა ოფიციალური პირნი.

# ხელი მოაწერეს შეთანხმებას

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა **თენგიზ სიგუამ** და ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ბატონმა **ედგარ სავისაარმა** ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოს რესპუბლიკისა და ესტონეთის რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმება ითვალისწინებს, კერძოდ, მომავალი წლიდან მოყოლებული ორ რესპუბლიკას შორის პროდუქციის, საქონლის მხოლოდ სახელშეკრულებო საწყისებზე ურთიერთმიწოდების განვითარებას.

მხარეებმა დათქვეს, რომ 1991 წელს დადონ ხელშეკრულებები, შეთანხმებები ან ოქმები ზოგადეკონომიკურ პრობლემათა, საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის, სოციალური სფეროსა და ეროვნული კულტურების, საქონელგაცვლის, მშენებლობისა და არქიტექტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ეკოლოგიის განვითარების, ურთიერთსამართლებრივი დახმარების, სამართალდაცვითი ორგანოების მოქმედების კოორდინაციის დარგში.

გათვალისწინებულია თანამშრომლობა და ერთმანეთისათვის კომერციული და მარკეტინგის საქმიანობის დარგში დახმარების გაწევა.

შეთანხმებათა სპეციალური მუხლი ითვალისწინებს, რომ გაიხსნას ესტონეთის რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობა თბილისში და საქართველოს რესპუბლიკისა — ტალინში.

იმავე დღეს ხელი მოაწერეს 1991 წელს საქართველოს რესპუბლიკისა და ესტონეთის რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციისა და საქონლის ურთიერთმიწოდების შეთანხმების ოქმს.

# პრესკონფერენცია მთავრობის სახლში

საქართველოს რესპუბლიკისა და ესტონეთის რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის სახლში გაიმართა პრესკონფერენცია. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა თენგიზ სიგუამ და ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ბატონმა ედგარ სავისაარმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს. მათ ილაპარაკეს საქართველოსა და ესტონეთის პირდაპირ კავშირურთიერთობის განვითარების პერსპექტივებზე, გამოთქვეს ერთიანი დამოკიდებულება საკავშირო ხელშეკრულებისადმი მიუმხრობლობის თაობაზე. შეეხნენ პოლიტიკურ ვითარებას რესპუბლიკებში.

**საინფორმაციო სააგენტო „საქართველო"**

27 ნოემბერს რესპუბლიკის მოსახლეობას მიმართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალმა ვალერი პატრიკეევმა. მისი სიტყვებით, მიმართვა განაპირობა სამხედრო მოსამსახურეების შეურაცხყოფის ფაქტებმა, ტერორისტულმა აქტებმა, იარაღის გატაცების მიზნით სამხედრო ობიექტებზე თავდასხმებმა და სხვა. გენერალმა რამდენჯერმე ხაზგასმით გამოყო „ლიცა გრუზინსკოი ნაციონალნოსტი" და არცთუ მრავალმნიშვნელოვნად გამოგვიცხადა, რომ თუ მისი ამ გამოსვლის შემდეგაც არ შეწყდება ეს თავდასხმები, არმია იძულებული იქნება თავი დაიცვას, ამას კი შესაძლებელია მოჰყვეს გაუთვალისწინებელი შედეგები, ხოლო თუ რას ნიშნავს ეს ᲒᲐᲣᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ, ყველამ კარგად ვიცით, ამისი მდიდარი გამოცდილება გვაქვს.

გენერლის ეს სიტყვა ჩვეული ჯარისკაცული მუქარაა და მასში შერეული რკინის ნოტები გაფრთხილებად უნდა იქცეს ყველასათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა იმპერიის სამხედრო ძლიერება კვლავ „სამაგალითოა" მსოფლიოში და ხახუმაროდ საქმე ნამდვილად არა გვაქვს. დღეს ჩვენს ერს, ისე როგორც არასდროს, სჭირდება სიმშვიდე და სტაბილურობა, მსგავსი ფაქტები უნდა შევაფასოთ როგორც პროვოკაცია და ერის საწინააღმდეგო მოქმედება, — ის მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. ისიც ნიშანდობლივია, რომ იმავე დღეს ანალოგიური განცხადება საკავშირო ტელევიზიით გააკეთა სსრკ თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი იაზოვმა. ეს „კოორდინაციაც" გაფრთხილება უნდა იყოს იმისი, რომ ჩვენ ბევრად უფრო გონივრული მოქმედება გვმართებს და არავის არა აქვს უფლება სასწორზე შეაგდოს ერის მომავალი.



# ეროვნული მილიცია ირაზმება

ჩვენი ქალაქისათვის უჩვეულო მოვლენის მოწმენი გახდა გასულ სამშაბათს ბევრი თბილისელი. ამჯერად ცენტრში ტრანსპორტის ჩვეულებრივი მოძრაობის „დამრღვევი" გახდა... თავად მილიცია. აქ, რესპუბლიკის მოედანზე, ნაშუადღევს გაიმართა თბილისის გარნიზონის შინაგან საქმეთა ორგანოების ქვეგანყოფილებების დათვალიერება.

საინფორმაციო სააგენტოს „საქართველოს" კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რას ეძღვნებოდა ეს ღონისძიება, დათვალიერების სარდალმა პოლკოვნიკმა ომარ გოქაძემ განაცხადა:

— ეს არის თბილისის მილიციის მორალური მომზადება იმისათვის, რომ ნამდვილად ემსახუროს ხალხის ინტერესებს, მტკიცედ დადგეს ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე.

ქალაქის მილიციის ათი რაიონული განყოფილებისა და სხვა ქვეგანყოფილების წარმომადგენლებმა ამ დღეს თავიანთი შემართებითა და შედუღაბებული რიგებით ცხადყვეს, რომ მათი განზრახვა და საქმეები ერთი იქნება.

**პაატა არჩვაძე,**
**საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს" კორესპონდენტი**
**(ავტორის ფოტო)**



# მილოცვები

**საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას!**

ღრმად პატივცემულო თავმჯდომარევ, ნაროდნაია რადა (სახალხო საბჭო) — უკრაინის უზენაესი საბჭოს ოფიციალური დემოკრატიული ოპოზიცია — გულითადად გილოცავთ დემოკრატიული საქართველოს უმაღლეს თანამდებობაზე არჩევას. გისურვებთ წარმატებებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე.

დღეგრძელობა და ბედნიერება ქართველ ხალხს!

გაუმარჯოს საქართველოს!

**ნაროდნაია რადა,**
**კიევი.**
**უკრაინის უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი, დეპუტატი რომან ლუბკიევსკი.**

●

„ბატონო ზვიად! წითელწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექტივი მხურვალედ გილოცავთ ქართველი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ისტორიულ გამარჯვებას და ამასთანავე, გამოვთქვამთ რწმენას, რომ ეს გამარჯვება დასაბამი იქნება თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობისა. თავს მოწიწებით ვხრით თქვენი უდიდესი ღვაწლის წინაშე. გპირდებით, რომ თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ ჩვენი ეროვნული მეობის აღდგენისათვის. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“.

●

ბატონო ზვიად! გილოცავთ არჩევნებში გამარჯვებას. ჩვენ გვწამს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის ოცნება ახდება.

**იური ქუთალია,**
**სატელეფონო ქარხნის დირექტორი,**
**იური მერკურევი,**
**რუსეთის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.**

●

**საქართველოს უზენაეს საბჭოს!**

საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირი ულოცავს დემოკრატიულ საფუძველზე არჩეულ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — საქართველოს უზენაეს საბჭოს და მის თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას საერთო-სახალხო აღიარებას და უსურვებს მათ ერის საარსებო პრობლემების წარმატებით გადაწყვეტას.

საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირი ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის ეკონომიკური ამოცანების განხორციელებაში და საქართველოს შემდგომ აღორძინებაში“.

**ნუგზარ კოზერიძე,**
**საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.**

●

„ბატონო ზვიად! საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ხელვაჩაურის № 117 ოლქის საარჩევნო კომისია გილოცავთ „მრგვალი მაგიდის“ ბრწყინვალე გამარჯვებას ამ არჩევნებში.

●

„ბატონო ზვიად! ამ დღეს ველოდი, მოვესწარი!.. სხვანაირად არც შეიძლებოდა. გილოცავთ დემოკრატიული ძალების ამ დიდ გამარჯვებას.

**გულრიფშის რაიონის ქვემო ეშერის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და მეთერთმეტეკლასელები“.**

●

**ბატონ ზვიად გამსახურდიას!**

სულით ხორცამდე ქართველო, ერის სულო და გულო, დიდი კონსტანტინეს საამაყო ძევ, გილოცავთ ურთულეს ბრძოლაში გამარჯვებას. სიტყვა უძლურია იმ დიდი სიხარულის გამოსახატავად, რაც თქვენი უზენაეს საბჭოს თავმჯდომარედ არჩევამ მოგვანიჭა. ქართველი ერი ყოველთვის ირჩევდა თქვენ გაკვალულ გზას და გვჯერა, რომ მომავალშიც თქვენთან ერთად ვივლით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

ბატონო ზვიად, გთხოვთ მიიღოთ ეს დაგვიანებული მილოცვა, თქვენი ერთგული თანამემამულეებისა:

**კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თანამშრომლები (52 ხელმოწერა).**

●

**ბატონ ზვიად გამსახურდიას!**

მიწისძვრის ზონის მოსახლეობის სახელით, ლტოლვილების სახელით მთელი გულით გილოცავთ გამარჯვებას. ამ გამარჯვებას ვთვლით, როგორც ქართველი ხალხის დემოკრატიული ძალების გამარჯვებას. ისტორიულად ჩვენ ერთნაირი ბედი გვერგო — მთელი არსებობის მანძილზე თავისუფლებისათვის ვიბრძვით. ჩვენ ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ, რომ კავკასიაში მშვიდობა სუფევდეს.

**რაფაელ ხაჩატრიანი,**
**ხოშხეთი.**

●

გილოცავთ თავისუფლებისათვის ბრძოლის დაწყებას.

**ანტანას ბარტკუსი.**
**ყოფილი პოლიტპატიმარი.**
**ლიტვის რესპუბლიკა.**

●

**ბატონო ზვიად!**

გილოცავთ თქვენ და სრულიად საქართველოს მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვებას. მადლობას ვწირავ უფალს, რომ ამ დღეს მომასწრო. გაპარტახებული სამშობლო რომ ჩაიბარეთ და მთელი პასუხისმგებლობაც რომ თქვენს თავზე აიღეთ, ამითაც დაამტკიცეთ თქვენი დიდი მამულიშვილობა.

ღმერთმა დაგლოცოთ, შვილო, და წმინდა გიორგი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი.

**გიორგი საბაძე (86 წლის),**
**წალკის რაიონი, სოფელი რეხა.**
**23 ნოემბერი, 1990 წელი.**

●

ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, მის წევრებს ულოცავენ აგრეთვე: **სოფიკო, დორა, მირანდა, შორენა და ფიქრია კუჭუხიძეები** — აბაშიდან, **ანა ლლონტი და ირაკლი ერისთავი** — ბათუმიდან, სახარების რწმენით მონათლულ ქრისტიანეთა ეკლესიის სახელით **გურამ ქუმელაშვილი და ნოდარ კვირიკაშვილი, ოთარ კოკოზოკი** — წალკიდან, **ნათელა პეტრიაშვილი, ლალი შათირიშვილი, ნუნუ ხმიადაშვილი** — ახმეტიდან, თეატრ-სტუდია „ექოს“ დირექტორი **ვარლამ ნიკოლაძე**, საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **არნოლდ ჩოხელი** და მრავალი სხვა.



# უკრაინა აბობოქრდა...

**უკვე** ნახევარი წელია რაც ბორგავს და ბობოქრობს უკრაინა. ერთი მეორის მოყოლებით ჩატარდა რამდენიმე მძლავრი აქცია, მაგრამ ყველაფრის გვირგვინი იყო სტუდენტთა ოქტომბრის შიმშილობა, რომელმაც ორ კვირას გასტანა და 7 ნოემბრის აქცია, რის შედეგადაც ფაქტობრივად ჩაიშალა სამხედრო პარადი. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, ეროვნული მოძრაობა დიდი ძალაა უკრაინაში და მას ხელეწიფება მძლავრი დამანგრეველი აქციების ჩატარება.

ოქტომბრის შიმშილობის მთავარი მიზეზი იყო უკრაინის უმაღლესი საბჭოს კონსერვატიული უმრავლესობის სურვილი დაედოთ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება. 30 სექტემბერს კიევში, დონეცკში, ლვოვსა და ტერნოპოლში ჩატარდა გრანდიოზული მიტინგები, ხოლო 1 ოქტომბერს დაიწყო სტუდენტთა შიმშილობა და სამდღიანი გამაფრთხილებელი გაფიცვა. 3 ოქტომბერს უმაღლესი საბჭოს შენობასთან ადგილი ჰქონდა შეტაკებას. აღსანიშნავია, რომ მილიციელებმა სცემეს 70 წლის მოხუც ქალს. სხვა დღეებშიც უხვად იყო პროვოკაციები, მაგრამ ოპოზიციური ძალების ორგანიზებულობის და დარაზმულობის შედეგად ისინი აღკვეთილ იქნენ.

მოშიმშილეთა მოთხოვნები იყო:

1) ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების დაუშვებლობა;

2) უკრაინის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ლ. კრავჩუკის გადადგომა;

3) მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. მასოლის გადადგომა;

4) უკრაინის მოქალაქეთა მიერ სამხედრო სამსახურის უკრაინაში მოხდა;

5) სხვა რესპუბლიკაში მომსახურე უკრაინელთა დაბრუნება;

6) კომპარტიის და კომკავშირის გაუქმება, მათი ქონების ნაციონალიზაცია.

მოშიმშილეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. აღსანიშნავია ის დიდი თანაგრძნობა, რაც გაუწია მოშიმშილეებს უკრაინელმა ინტელიგენციამ. მოშიმშილეებს შეუერთდა სახალხო არტისტი ნელი კრიუკოვა, ხოლო ცნობილმა მწერალმა ოლეს განჩარმა საჯაროდ პრესაში გამოთქვა აღშფოთება პარტოკრატიის უსულგულობის გამო და გავიდა კომპარტიიდან. 16 ოქტომბერს დემონსტრანტებმა ჩაკეტეს მთავარი ქუჩა, გაარღვიეს მილიციის კორდონები და ზედ უმაღლესი საბჭოს კარებთან დასვეს მოშიმშილენი. კიეველმა სტუდენტებმა დაიკავეს უნივერსიტეტის შენობა და გამოაცხადეს სტუდენტთა საყოველთაო გაფიცვა. უმაღლესი საბჭო იძულებული შეიქნა ძირითადად დაეკმაყოფილებინა სტუდენტთა მოთხოვნები, რის შემდეგაც აქცია შეწყდა.

არანაკლებ მღელვარედ წარიმართა 7 ნოემბრის აქციაც. ოპოზიციურმა ძალებმა პარტიათაშორისო ასამბლეამ, რესპუბლიკურმა პარტიამ, „რუხმა“, 7 ნოემბერი გამოაცხადეს გლოვის დღედ. 6 ნოემბერს კიევის მთავარ მოედანზე შეიკრიბა ხალხი. აქ ჩატარდა მიტინგი, რის შემდეგაც უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის მღვდელმა ჩაატარა ბოლშევიზმის მსხვერპლთა პარაკლისი. დემონსტრანტებმა განაცხადეს, რომ არ დაუშვებენ 7 ნოემბერს ხრეშჩატიკზე საოკუპაციო არმიის პარადს. შექმნილ მდგომარეობაში მთავრობა დათმობაზე წავიდა, გამოცხადდა, რომ სამხედრო პარადი ჩატარდება გამარჯვების მოედანზე და რომ პარადზე გამოყვანილი არ იქნება ტანკები. ნაწილი სტუდენტებისა გაემართა გამარჯვების მოედანზე, რათა არ დაეშვათ სამხედრო პარადი.

7 ნოემბერს გამთენიისას მილიციისა და კურსანტების გაძლიერებულმა რაზმმა იერიში მიიტანა სტუდენტებზე და მათ მხეცურად სცემა. სტუდენტებს შორის არიან დაშავებულნი. სტუდენტები იძულებული შეიქნენ დაეხიათ „რუხის“ შენობისკენ და იქ აღემართად ბარიკადები. სამხედროთა ცდას, შეჭრილიყვნენ შენობაში, წარმატება არ მოჰყოლია. მხოლოდ ამის შემდეგ შესძლეს სამხედროებმა პარადის ჩატრება, რომელმაც გასტანა 30 წუთს. პარადზე არ იქნა გამოყვანილი ტანკები.

მილიციისა და კურსანტების საერთო ძალისხმევის შედეგად მოხერხდა კიევის მთავარი ქუჩის „გათავისუფლება“. მხოლოდ ამის შემდეგ პარტიის ვეტერანებმა და შრომის „გმირებმა“ მოაწყვეს „რესპუბლიკის მშრომელთა მანიფესტაცია“. ეს ქაოსი გრძელდებოდა დაახლოებით საათნახევარს. ამავე დროს სოფიის მოედანზე ოპოზიციამ ჩაატარა ალტერნატიული მიტინგი. აღსანიშნავია, რომ მისასვლელი სოფიის მოედანზე ჩახერგილ იქნა მილიციის მიერ სატვირთო მანქანებით, რის გამოც ბევრმა კიეველმა ვერ მოახერხა მიტინგზე მისვლა. მიტინგის შემდეგ მოეწყო მსვლელობა ხრეშჩატიკზე უკრაინული ლურჯ-ყვითელი და შავი სამგლოვიარო დროშებით. აღსანიშნავია ის უთვალავი პროვოკაცია, რომელსაც ახორციელებდნენ მილიციისა და სუკ-ის გადაცმული თანამშრომლები. მაგალითად გადაცმულმა მილიციის პოდპოლკოვნიკმა, ვინმე გრიგორიევმა გაარტყა ქალს და სცადა დეზოშის ატეხვა. პროვოკატორი გამოააშკარავა ყოფილმა პოლიტპატიმარმა, ამჟამად კი უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა სტეპან ხმარამ.

ეროვნული მოძრაობა უკრაინაში დღითი-დღე იზრდება. უკვე შექმნილია ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი, სადაც გაერთიანდა პრაქტიკულად ყველა პატრიოტული ორგანიზაცია. შექმნილია სრულიად უკრაინის საგაფიცვო კომიტეტი, ინტენსიური მუშაობა სწარმოებს ეროვნული კონგრესის ასარჩევად, ქალაქებში იქმნება ეროვნული დაუმორჩილებლობის სტრუქტურები.

ეროვნული მოძრაობის ასეთი აღმავლობა კრემლის მესვეურთა და მათი უკრაინელი ლაქიების შეშფოთებას იწვევს. უკრაინის პარტოკრატია გაафთრებით იბრძვის ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, ავრცელებს ჭორებს; ცდილობს დაუპირისპიროს ერთმანეთს დასავლეთი და აღმოსავლეთი უკრაინა. პარლამენტის კომუნისტური უმრავლესობა თავს ესხმის დემოკრატ დეპუტატებს. 7 ნოემბრის აქციების შემდეგ პარტოკრატია ცდილობს ჩამოართვას სტეპან ხმარას დეპუტატის წოდება და მისცეს პასუხისგებაში.

მაგრამ პროცესი, რომელიც უკრაინაში დაიწყო, შეუქცევადია. გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ მისი შეჩერება თუნდაც რეპრესიებით შეიძლება. უდავოა, რომ ა/წლის ბოლომდე უკრაინაში გაიმართება მძლავრი აქციები, ხოლო მომავალ წელს კი ვინ იცის, ეგებ ყოველივე ამას ეროვნული დაუმორჩილებლობაც მოჰყვეს.

**ნიკო თევზაძე,**
**ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი.**







ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლემიკა

# საიდუმლო უსჯულოებისა

**აცხოვნე,** უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა ღვთივ-დაცულსა ერსა ჩვენსა მონიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცავ, რათა ვიტყოდეთ — უფალო, დიდება შენდა!

ამა წლის 13 ნოემბერს თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა წერილი „მართლმადიდებლობა! უსიყვარულოდ?"

არ გვეგონა, თუ მასონთა, კომუნისტთა და ეკუმენისტთა მხილება ასე იმოქმედებდა... არ გვეგონა თუ წერილის, „ხე ნაყოფით შეიცნობის" პასუხად ქართველსავე ადამიანს კადნიერებით ენა მოუბრუნდებოდა და თანაც ისე რომ: რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის, წმ. მეფე დავით აღმაშენებლის, წმ. გიორგი მთაწმინდელის, წმ. გრიგოლ ხანძთელის, წმ. ეპისკოპოს გაბრიელ (ქიქოძის), წმიდა ქალაქ იერუსალიმის პატრიარქ უნეტარეს დიოდოროს I-ის, აგრეთვე კომუნისტური და ეკუმენისტური რუსეთის მიერ დევნილი მართლმადიდებელი მოძღვრებისა და ბოლოს საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის პროტოპრესვიტერ (სამღვდელოების გამგებელ) გიორგის — თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორის ავტორიტეტს! — „შავრაზმულ ქრისტიანობად და მსოფლიო ფანატიკოსთა ხროვად" მოიხსენიებდა... მსგავს მკრეხელურ ბრალდებებს არც 20-30-იანი წლების კომკავშირლები იშურებდნენ ქრისტიანთა მიმართ... საკავშირო პრესის ფურცლებზე რომ წაგვეკითხა მსგავსი რამ, არც კი გაგვიკვირდებოდა...

აღნიშნულ წერილს ვპასუხობ არა სახელისა ჩემისათვის, არამედ სახელისა უფლისა და ცდუნებულ მოყვასთა ჩემთა — ძმათა ჩემთათვის...

წერილის პირველივე სტრიქონები იწყება სიცრუით: "ეკუმენიზმი სხვა არა არის რა, თუ არა ქრისტიანული უცხოეთ-შემწყნარებლობის თანამედროვე, ცივილიზებული სხესხვაობა".

სინამდვილეში კი, ფილოსოფიური ლექსიკონის განმარტებით, „ეკუმენიზმი" არის: „თანამედროვე მიმდინარეობა, სხვადასხვა, უმთავრესად პროტესტანტული ეკლესიებისა, რომელიც მიზნად ისახავს საყოველთაო ანუ მსოფლიო ეკლესიების გაერთიანების შექმნას". ამგვარი შთაბეჭდილება რჩება, რომ ავტორისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონია ეკუმენიზმის გამარჯვებას საქართველოში, ვინაიდან არ თაკილობს ასეთ სიცრუეს (თავის თანამოაზრეებსავით...) — აყალბებს თვად „ეკუმენიზმის" განსაზღვრებას.

თუ წერილის მიზანია ეკუმენიზმის „სიკეთე" განუმარტოს ქართველ ერს, ასეთი პასუხსაგები მისიის შესრულებისას საჭიროა პატიოსანი — არგუმენტირებული დასაბუთება, ვინაიდან სიახლის შემომტანს (ასეთ საკითხში) მეტი მოეთხოვება, ვიდრე ძველის დამცველს, რომელსაც ერის სჯული, ერის ისტორია, ტრადიცია და კულტურა უმაგრებს ზურგს და გამოადგება საბუთად.

ბრალდებას, თითქოს მე რუსულ-სტაროვერული ღვთისმეტყველების მიმდევარი და პროპაგანდისტი ვიყო თვით სტაროვერთა („ქართველ ძველმართლმადიდებელთა") გაზეთი „ღვთიური გზა" № 3 პასუხობს: „ჟურნალ „ლაზარეს აღდგინების" რედაქტორი — მ. სულაქველიძისა და მისი საზოგადოების წევრების სპეკულაციის ზემოქმედებით სტამბის მუშებმა წამოგვიყენეს მოთხოვნა, შეგვეწყვიტა **საქართველოს ეკლესიასთან დაპირისპირება...** ახალი ცენზორის როლში მოგვევლინენ ისინი, ვინც გუშინ მთელი ხმით გაჰყვიროდნენ იმპერიალისტური და დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ"... მასვე პასუხობს ჩემს მიერ 19 მაისს „ახალგაზრდა ივერიელსა" და 22 ივნისს „სოფლის ცხოვრების" ფურცლებზე გამოქვეყნებული სტაროვერთა ანტიეროვნული და ანტიეკლესიური სულის მამხილებელი წერილები. ველარ გამიგია რა მბრალდება, ფანატიკოს-სტაროვერთა დევნა-შევიწროვება თუ „ინტელიგენტ"-ეკუმენისტთა?... ეს ბრალდება აბსურდია აგრეთვე იმიტომ, რომ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, იმ დროს, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საუკუნეებს ითვლიდა, და მისი გულმხურვალე-ღვთისმსახურებით ცნობილი წარმომადგენლები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე სჯულს იცავდნენ მწვალებელთაგან, რუსეთის სახელმწიფოც არ არსებობდა, არამცთუ „რუსული ეკლესია" და „რუსულ-სტაროვერული ღვთისმეტყველება"...

შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც მართლმადიდებელი სარწმუნოების დამცველი კანონები და ერეტიკოსთა ღვთისმგმობ სწავლებათა ანაფემატიზმები შეიმუშავა, რუსეთის მოქრისტიანებამდე ჩატარდა. I მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვიეს 325 წ. ბოლო VII-787 წ. რუსეთი კი, მოგეხსენებათ 988 წელს მოინათლა.

მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, რომლებშიაც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, ანათემას გადაეცა მწვალებელი არიოზი, რომელიც უარყოფდა იესო ქრისტეს ღვთაებრიობას, მწვალებელი მაკედონი, რომელიც უარყოფდა სულიწმიდის ღვთაებრიობას, მწვალებელი ნესტორი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მარიამი არ იყო ღვთისმშობელი, მწვალებელი ევტიქი, რომელიც ქადაგებდა ქრისტეს ერთბუნებიანობას, VII საეკლესიო კრებაზე დაიგმო და შემდეგ ანათემას გადაეცა ხატმებრძოლეობა და მისი მიმდევარნი...

რაც შეეხება „რუსული ეკლესიის სიბრძნეს", ჩვენ უკვე დავასაბუთეთ თუ როგორ იკვლევს ეკუმენიზმი გზას მოსკოვის საპატრიარქოსა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით... რასაც მხოლოდ იმას თუ დავუმატებდით, რომ რუსულ (სასულიერო თუ საერო) პრესაში პროპაგანდის სახით თითქმის სისტემატურად იბეჭდება ეკუმენისტური მოწოდებანი, რაც ემსახურება ამ გზით იმპერიული მიზნების ახლებურად გადაწყვეტას...

ხოლო მას, თუ რატომ არ გამოადგება ქართველ ერს „დასავლეთიდან მომავალი სულიერი არტერიის" მიერ შემოტანილი ეკუმენიზმი, ჩვენზე უკეთ გასცემს პასუხს მართლმადიდებლობის დიდი ქომაგი წმ. ილია მართალი: „სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩაესახება ერთსა და იმავე გულს. როგორც ორსახე ჭეშმარიტებაა შეუძლებელი, ისეც ორსახე სარწმუნოებაც. იგი ან ერთადერთია ერთს გულში, ან სულ არ არის. სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერ წიაღშია, ორთვალა და ორგულა ვერ იქნება, რომ ჩვენიც იყოს და თქვენიც ერთსა და იმავე დროს, იგი ერთთვალა და ერთგულაა, — თუ ასე ითქმის, ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჰყოფს, რომ ერთსაც ჰხედავდეს მ-ა-რ-თ-ლ-მ-ა-დ-ი-დ-ე-ბ-ლ-ა-დ და მეორესაც, ერთსაც განუზიაროს სასოება გულისა და მეორესაც, ამიტომაც შეურყეველი ერთგულება სხვის სარწმუნოებისა და საკუთარის სარწმუნოების შერყევაა, უარყოფაა. თავდადებულნი ერთის სარწმუნოებისათვის, მეორისათვის თავდადებულნი ვერ იქნებიან და ნამეტნად შეურყეველ ერთგულებისანი. კაცი შეურყევლად მოსავია მარტო იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს და გულში ატარებს. უამისოდ სარწმუნოება სარწმუნოება კი არ არის, სამოსელია, რომელსაც კაცი როცა უნდა იხდის და როცა უნდა იცვამს".

თქვენს კითხვაზე: „ნუთუ... მართლმადიდებლური აღმსარებლობა, სულიერი თვითმყოფადობის ახალ დამთრგუნველ ძალად იქცევა?!"! მოგახსენებთ, რომ ჩვენ არ ვიბრძვით სულიერი გაერთიანებისათვის იმგვარად, როგორც მუსულმანები, კათოლიკე თუ იეზუიტი ჯვაროსნები და ეკუმენისტი მასონები — **ჩვენი ბრძოლა — სიცრუის მხილებაა!** უფრო სწორად კი, ვიცავთ ჩვენს შევიწროვებულ, სწორედ ეკუმენისტური აგრესიის ობიექტად ქცეულ, ჩვენს მამა-პაპისეულ სარწმუნოებას — საქართველოს ეკლესიას. რადგანაც საკითხი შეეხება წინაპართა მრწამსის გადაგვარებასა და შერყვნას, რასაც მამულის ღალატად მივიჩნევთ... სჯულის სიყვარულით განხივრნებული წმ. ილია მართალის სული კვლავ მოგვაგონებს: „საქართველოს ერმა დაგიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი... მას აქეთ ხუთმეტი საუკუნეა გულში ჯვარით და ხელში ხმალით იბრძოდა, იღვწოდა, სისხლსა ღვრიდა და ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა".

რაც შეეხება შემდგომ ბრალდებას: „მერაბ სულაქველიძე ქართველ ერს, განსაკუთრებით კი მის ინტელიგენციას, ახალ მწურთვნელად მოვლინებია", ამ საკითხის უკეთ განსამარტავად ჯერ ის უნდა გაირკვეს, თუ ვინ ვის მოვლინებია „ახალ მწურთვნელად"... მე მხოლოდ ინტელიგენტთა მიერ შეუწყნარებელი ერთი ღვთისმეტყველის სიტყვებს შეგახსენებთ: „როცა კი დავფიქრებულვარ რუსული ინტელიგენციის გაორებულ და დღემდე გამოუცნობ, გაურკვეველ ხასიათზე, ყოველთვის უნებურად მახსენდება ანაბაპტისტები და შუა საუკუნეების სხვა მრავალი კომუნისტური სექტანტი, აპოკალიპტიკოსი და ხალიასტი, რომლებიც ქრისტეს ათასწლოვანი მეუფების ჟამის მოახლოების მოლოდინში მაცხოვარს გზას უკაფავდნენ მახვილით, სახალხო აჯანყებებით, კომუნისტური ექსპერიმენტებით, გლეხთა ომებით"... (რათა „ცათა სასუფეველი" დედამიწაზე დაემყარებინათ... ავტ.).

„ახალი მწვრთნელი", ახალი მოძღვრების მასწავლებელს უფრო ნიშნავს, და სწორედ „ინტელიგენცია" მოევლინა „ახალ მწურთნელად" ამ სამოცდაათი წლის წინ ჩვენს ერს, თორემ მე მხოლოდ მოციქულთა დროიდან, წინაპართა მიერ დღემდე შემონახული ჭეშმარიტებისადმი ერთგულების მომხრე ვარ. ამ საკითხით თუ უფრო დაწვრილებით დაინტერესდებით, შეგიძლიათ გაეცნოთ, მას მშვენივრად პასუხობს 16 ნოემბრის „ლიტერატურული საქართველოს" 2-3 გვერდი..

ხოლო იმის თაობაზე თუ ვინ დგას „რამდენიმე ეშელონად ჩემს ზურგსუკან..." და თუ „ვინ მაკურთხა", მოგახსენებთ, ჩემს ზურგს უკან დგას მოციქულთასწორი წმ. ნინოს მიერ დალოცვილი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც დღიდან მისი სახელმწიფო რელიგიად აღიარებისა, დაუღალავად იღვწოდა ჩვენთვის ენის, მამულისა და სარწმუნოების შენარჩუნებისათვის და იმისათვის, რომ უფლის მეორედ მოსვლას ლაზარე — საქართველო ჭეშმარიტების სულით გაბრწყინებული დახვედროდა. ვინ მაკურთხა? „იესო ტკბილის" სიყვარულით ნაწამებ 100 000 ქართველ წმ. მოწამეთა ეკლესიამ მაკურთხა! ვინ მაკურთხა? წმ. ილია მართლის მართლმორწმუნე ერმა მაკურთხა!..

წერილის ავტორმა, რომელიც მართლმადიდებლობას „უსიყვარულო რელიგიას" უწოდებს, ახლა მაინც მოისმინოს (თუ აქამდე არ მოუსმენია...), რა ბრძანა ამა წლის 11 ნოემბერს, ყოფილი საპატრიარქო რეზიდენციის დაბრუნების ისტორიულ დღეს, თვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სიონის ამბიონიდან: „ქართველი ერი და საქართველოს ეკლესია მუდამ ერთად იყო.

რომისა და ბიზანტიის იმპერიები, რომელნიც შიშის ზარს სცემდნენ მსოფლიოს, აღიგავნენ პირისაგან მიწისა.

რამ გადაგვარჩინა ჩვენ? ეს იყო მართლმადიდებელი — ჭეშმარიტი სარწმუნოება და მასზე დაფუძნებული სიყვარული, რომელიც ასე გვჭირდება ჩვენ დღეს.

საქართველოში ეწამებოდნენ და ეწამებიან აღმსარებლობისათვის. არც ერთ ერს არ ჰყავს იმდენი წმიდა მოწამე, რამდენიც საქართველოს. მარტო ერთ დღეში მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის ეწამა ასიათასზე მეტი ქართველი. ასეთი იყო წმიდა ილია მართალიც...

მათი ლოცვითა და თანადგომით ვზეიმობთ ჩვენ ამ დღეს და ზეციურ საქართველოში მათი ლოცვა კვლავ შეეწევა საქართველოს ეკლესიას და ყოველ ჩვენგანს.

ინტელიგენტებს ხშირად ებადებათ კითხვა და შეიძლება თქვენც დაგებადოთ — ხომ შეიძლებოდა ეს სისხლი არ დაღვრილიყო?..

მათ, ვისაც ებადება ამგვარი კითხვა, მე ასე ვეტყოდი, ისინი კი არ დადიან დედამიწაზე, არამედ დახოხავენ... მას, რასაც სხვა ერს პატიობს უფალი, ჩვენ არ გვეპატიება — ჩვენ მეტი მოგვეთხოვება..."

„წესიერ ქვეყანაში... შავრაზმული ღვთისმეტყველების ამგვარი გადმონთხევისათვის კაცს ალბათ სამართალში მისცემდნენ და პასუხს აგებინებდნენ". რა არის ეს? ხომ არ მოასწავებს იგი მართლმადიდებელ ქრისტიანთა მორიგი დევნის დასაწყისს საქართველოში?

მასონურ-ეკუმენისტური თეორიის ანუ ახალი ინტერნაციონალიზმით მოხიბლულმა წერილის ავტორმა, რომელიც ბრძანებს „ნუ ყველანი ჰმოძღვრითო"... კარგად უნდა უწყოდეს, როგორ გვმოძღვრიდა წმ. ილია მართალი იმის შესახებ თუ „ვინ ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით", წინაპართა აღმსარებლობის ნაცვლად, მასონურ-ეკუმენისტური დასავლეთიდან მონაბერ „სულიერებას" რომ გავუღოთ ფართოდ გულის კარი...

ამის თაობაზე ერთი ღვთისმეტყველი ბრძანებს: „...კაცობრიობა ცდილობს შექმნას ახალი რელიგია, ამასთან, ღვთაებებს ეძებს თავის თავში და თავის გარშემო, შინაგანში და გარეგანში; მონაცვლეობით სინჯავენ: გონების რელიგია (გონების კულტი საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს), კაცობრიობის რელიგია — კანტისა და ფოიერბახისა, სოციალიზმის რელიგია, წმინდა ადამიანობის რელიგია, ზეკაცის რელიგია და ა. შ. — ჩვენ ვიცით, რომ მოციქულთა დროიდან უცვლელი მხოლოდ მართლმადიდებლობაა — მორალი თვითგაუქმებას განიცდის, და, ამასთან, უარყოფს მოვალეობის იდეას, რასაც სცვლის პირადი ან ჯგუფური ინტერესების იდეით, თავდაცვის მხეცური ინსტინქტით... ნიჰილისტური ინდივიდუალიზმი, საითკენაც მივყევართ ჩვენ კულტურას, თანამედროვეობის სულიერი ცხოვრების ყველაზე სერიოზული მოვლენაა... დაცემის ეპოქებს, რომლებსაც თან სდევს კულტის განვითარების მაღალი დონე, საერთოდ, ახასიათებს ეპიკურეიზმის, ცხოვრების ტკბობის ფილოსოფია, — დახვეწილი ესთეტიურად გაკეთილშობილებული ფორმებით. ტკბობის ეს კულტი დაცემის ეპოქაში ანტიკურმა წარმართობამ შეიმუშავა, ამავე კალაპოტში დგება თანამედროვე ნეოწარმართობაც...

ნეტავ მიაღწია, ან მიუახლოვდება კაცობრიობა ბედნიერებასა და სიხარულს, ჰარმონიასა და სიმშვიდეს? ვინც ევროპის სულიერი ცხოვრების სიმპტომებს აკვირდება, გაუჭირდება დადებითი პასუხის გაცემა..., აი, რატომაა, რომ „მეუფება მხეცისა"; ე. ი. ცივილიზაცია, რომელიც ღვთის გარეშე და ღვთის წინააღმდეგაა აგებული, საშინელებად იქცევა და ადამიანები ტკივილისაგან ენას დაიკვნენ..."

ჩემი პასუხისგებაში მიცემით ფრიად დაინტერესებულ წერილის ავტორს (და მის უკან მდგომთ) მოვახსენებ, რომ მე თქვენსავით, ჩემი არა დამიწერია რა, არამედ ქართველ მკითხველს მივაწოდე ის მახვილებული დოკუმენტური წყაროები, რომელსაც ოფიციალური პრესა აქამდე არ აშუქებდა... ჩემს შემდგომ სათქმელზე კი პასუხს კვლავ ბოლშევიკთა მიერ საქართველოს მთლიანობისა და სიმართლისათვის მოკლული ერის მოძღვარი — წმ. ილია მართალი გაგცემთ: „ჩვენის ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულთ-მოქმედი მხნეობა, თავ-გაწირვა, თავ-დადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათელით არის განსხივებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძალმა ჭეშმარიტებისამ", წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანას... რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა... **გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან, — გაქართველდიო...**

ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებით აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო, საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა..."

ჩვენ საქართველოს გამაერთიანებლად და ქართული ეროვნული სულის ასაღორძინებლად წინაპართა აღმსარებლობა — მართლმადიდებლობა გვესახება და არა მოსკოვური—კოსმოპოლიტიზმში გარდამავალი ეკუმენიზმი?..

საქართველოს უზენაესი საბჭოს კურთხევისას კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა, რომ: „ჩვენი მთავარი და უპირველესი მიზანი, საქართველოს მთლიანობაა"... მან პარლამენტს ბიბლიასთან ერთად, საქართველოს აღდგომის სიმბოლურობისა და თავისი მრწამსისეული პოზიციის ხაზგასასმელად, იერუსალიმიდან ჩამოტანილი (იერუსალიმის პატრიარქ უნეტარეს დიოდოროს I მიერ ნაბოძები) და მაცხოვრის საფლავზე ნაკურთხი აღდგომის ხატი გადასცა და მით კიდევ ერთხელ ცხადჰყო თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოწოდებას იერუსალიმიდან...

კოსმოპოლიტიზმში გარდამავალი ეკუმენიზმით მოხიბლულ წერილის ავტორს კარგად უნდა ახსოვდეს სახარებაში უფალი რომ ბრძანებს, უწინარესად ჩემს ხალხთან მოვედიო... აი, როგორ მიმართავს უფალი თვის ერს: „იერუსალემ, იერუსალემ, წინასწარმეტყველთა მკვლელო და შენდამი მოვლინებულთა ქვებით ჩამქოლველო! რამდენჯერ ვცადე შემეკრიბა შენი შვილები, როგორც ფრინველი კრებს ბარტყებს თავის ფრთებქვეშ და არ ისურვე" (ლუკა, 13, 34). ან იქნებ წმ. მოციქული პავლე ბრძანდებოდა განურჩეველი ეროვნებათა მიმართ: „ვისურვებდი თავად ვყოფილიყავი შეჩვენებული ქრისტეს მიერ ჩემი ძმების, ჩემი სისხლის და ხორცის გამო, რომლებიც არიან ისრაელიტნი". ხოლო ძველი აღთქმის წინასწარმეტყველის მოსეს თავგადადებული ლოცვითა და მარხვით „გადაიფიქრა უფალმა და აღარ დაატეხა რისხვა თვის ერს". რაც შეეხება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ — ლაზარე — საქართველოს, ღმერთმა ისრაელის შემდგომ ჩვენი **სამშობლო** შეიყვარა და ჩვენ მეტი მოგვეთხოვება...

წამოჭრილი პოლემიკის შესაწყვეტად, ეკუმენიზმის მამამთავრის ქრისტეფორე ბლუმგარდტის სიტყვებიც იკმარებდა, სადაც იგი პირდაპირ აღიარებს მასონურ-ეკუმენისტური გაერთიანების ანტიეროვნულ მიზნებს: „ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და ერთობისათვის აუცილებელია, ეკლესიათა და ერთა შორის ურთიერთობაში სუფევდეს სრული შემწყნარებლობა, რათა მათი **ურთიერთშერწყმით** მივაღწიოთ საყოველთაო ქრისტიანულ მიზანს... ამისათვის კი ერი — ნაცია მზად უნდა იყოს, ისევე **შესწიროს** ღმერთს **თავისი მამული**, როგორც აბრაამი იყო მზად თავისი ვაჟის— ისააკის საკუთარი ხელით მსხვერპლშეწირვისათვის. როგორც თქმულა მოციქულებზე „დასტოვეს ყოველივე და შემომიდგენ მე". მაგრამ ამგვარი თვითშეგნების — რწმენის გასაღვივებლად საჭიროა შევიმოსოთ ახალი სული (საეკლესიო მოდერნიზმი...) საამისოდ კი გარკვეული დროა საჭირო..."

კომუნისტთა და ეკუმენისტთა მიერ სიმართლისათვის დევნილი ღვთისმეტყველების დოქტორი არქიმანდრიტი იუსტინე კიდევ ერთხელ განგვიმარტავს: **„მართლმადიდებლობის შემბილწველი ანტიქრისტიანული სული მიმართულია ტრადიციული და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების ჩასახშობად.** თანახმად „აღმოსავლელ პატრიარქთა მრწამსისა" მართლმადიდებლობის დამცველი მთელი მორწმუნე ხალხია, და არა მხოლოდ სამღვდელოება, როგორც ეს კათოლიკური ეკლესიის „უცოდველ პაპებს" მიაჩნიათ... მართალნი ბრძანდებიან ის ადამიანები, რომელნიც წინაღუდგებიან მამაპაპისეულ — მართლმადიდებელ სარწმუნოებაში გაერთიანების მტერს..."

[illegible]

# საიდუმლო უსიყვარულობისა

(დასასრული)

დადგა ჟამი, როდესაც უნდა გაკეთდეს არჩევანი, ეკუმენიზმი ან მართლმადიდებელი საქართველო, ანუ სჯული და მამული ან წარწყმედა — „მართლმადიდებლობა ან სიკვდილი“.

რაც შეეხება თქვენს განაცხადს, რომ „არც მოცალეობა გაგაჩნიათ. საამისოდ, არც მოწადინება და არც ღვთისმეტყველი კომპეტენცია“, ეს შესანიშნავად ჩანს თქვენს წერილში, ის გამოდგება საკითხისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ნიმუშად. თქვენი „პირადი შთაბეჭდილებები“ თქვენს მეგობრებთან გასაზიარებლად თუ გამოდგება და არა ქართველი ერის ყურადღების მისაპყრობლად...

თვით წერილის სათაურის საპასუხოდ („მართლმადიდებლობა უსიყვარულოდ?“) „მავრაზმელი ღვთისმეტყველის“ არქიმანდრიტ იუსტინეს სიტყვით მოგმართავთ: „არა არს სიყვარული ჭეშმარიტების გარეშე და არა არს ერთობა სიყვარულის ჭეშმარიტებაში ერთობის გარეშე...“, რამეთუ ღმერთმა ბრძანა: ვინც შეიყვარებს მამას თვისას და დედას თვისას, შვილებს ან საკუთარ სიცოცხლეს ჩემზე მეტად — ის ჩემი ღირსი არ არის. არსებითად ქრისტეს გარეშე არც არის ჭეშმარიტი სიყვარული. სიყვარული, რომელიც არ არის ღვთისგან, გარდაიქმნება კულტურულ ერთობად, ბიოლოგიურ გრძნობად ან ჯგუფური სოლიდარობის სხვადასხვა სახეობებად... მხოლოდ ქრისტიანული სიყვარული შეგვაგონებს გვიყვარდეს ადამიანის უკვდავი სული და ვუსურვოთ მას ყველაზე დიდი ბედნიერება — უკვდავება ცხონებისათვის — ქრისტეს საუფლოში დამკვიდრება. ამინ!

დაბოლოს, სიტყვები: „საჯემ უფალო... და ბრძოდე მბრძოლთა მათ ჩვენთა“ სწორედ რომ თქვენი სულისკვეთების წინააღმდეგ არის მიმართული, რამეთუ უფალი ბრძანებს: „რომელი არა არს ჩემთანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს“ (მათე. 12, 30). მაგრამ მიუხედავად ამისა, მე კვლავ მამულიშვილურად — ქრისტიანული სიყვარულით (თუ გნებავთ ძმურადაც) შეგახსენებთ, ჩემს წერილში „ამდენი არგუმენტები“ თქვენს (და თქვენს თანამორწმუნეთა) ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად დამჭირდა, რათა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში გაერთიანებულნი შევეგებოთ საქართველოს განახლებას, სულიერ აღორძინებასა და აღდგომას... ამინ!

„აღსდეგინ ღმერთი გულთა შინა თქვენთა და განიბნინედ ყოველნი მოძულენი და მტერნი მისნი, აღსდეგინ შენ საქართველოვ მართლმადიდებელო, რწმენისა მის ქრისტესათვის, და წარიწყმიდე შენ მხედრიონო ეშმაკისაო; ვითარცა ბურუსნი ჰაერისანი განიბნინენ ცრუ და მტყუვარნი მეგობარნი ხალხისანი და წარსწყმდენ ეშმაკნი პირისაგან მათისა, რომელთა უყვარსთ ღმერთი... ამინ!“

**მერაბ ხულაყველიძე**

---

# ეროვნულ მილიციას — ეროვნული ფორმა!

საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა მილიციის მუშაკთა ჩაცმულობისა და გარეგნული სახის შეცვლის საკითხი. მართლწესრიგის დამცველის გარეგნული სახე უნდა გამოხატავდეს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი ქართველი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს, სამშობლოსა და ხალხისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სიმბოლოს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა შემოიღოს ეროვნული მილიციის ახალი ფორმა და ამასთან დაკავშირებით აცხადებს ღია კონკურსს.

**კონკურსის პირობები:**

— ფორმის ტანსაცმელი ფერითა და შეკერილობით უნდა გამოხატავდეს ეროვნულ კოლორიტს, ამასთან, მასში შერწყმული უნდა იყოს თანამედროვე სამხედრო ტანსაცმლის ელემენტები;

— შეესაბამებოდეს საქართველოს კლიმატურ პირობებს, სატარებლად იყოს მოხერხებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის დროს;

— ყოველდღიური და საპარადო, საზაფხულო და ზამთრის ფორმისათვის განისაზღვროს ფასონი, ქსოვილი, ხარჯთაღრიცხვა;

— შემუშავდეს კოკარდის, დანაკერის, ღილკილის, წარჩინების ნიშნების ესკიზები ოფიცრებისა და რიგითი შემადგენლობისათვის და სხვა რეკვიზიტები.

ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო მოდელისათვის დაწესებულია 3 პრემია. პირველი პრემია — 3 ათასი მანეთი, მეორე პრემია — 2 ათასი მანეთი, მესამე პრემია — ათასი მანეთი. დაწესებულია აგრეთვე სამი წამახალისებელი პრემია თითოეული 300 მანეთის რაოდენობით.

კონკურსის ვადაა გამოცხადებიდან 2 თვე.

საკონკურსო მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში.

**მისამართი: ქ. თბილისი, დიდი ხეივნის ქუჩა № 10.**

**საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“**

---

# ათი მოთხრობა ხუთ დღეში

გაზეთ „7 დღის“ მე-3 ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია: „გინესის წიგნის კიდევ ერთი კანდიდატი“. სადაც თბილისში მცხოვრებმა მწერალმა და ჟურნალისტმა ნარო კოლხელმა (ნარიმან იამანიდაშვილმა) გამოთქვა სურვილი 5 დღეში დაწეროს 10 მოთხრობა ნებისმიერ თანამედროვე (თუნდაც კონკრეტულ) თემაზე.

საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირები ა/წ 30 ნოემბერს 16 საათიდან იწყებენ ამ საინტერესო ღონისძიებას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრ „მერანის“ დარბაზში. (ქ. გამსახურდიას პრ. № 41).

---


# რეკლამა

ფირმა „პერგამენტი“ გამომცემლობა „მერანთან“ ერთად რუბრიკით „შერისხულნი“ სცემს რეპრესირებულ ქართველ მწერალთა ნაწარმოებების სერიას 15 ტომად. სერიაში შედის მ. ჯავახიშვილის, გრ. რობაქიძის, ლ. გოთუას, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ქ. ხიმშიაშვილის, ჰ. ამირეჯიბის, გ. შატბერაშვილის, გ. მაღულარიას, ო. პაჭკორიას, ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას, ე. ტატიშვილის, კ. ბუაჩიძის, რ. კობიძის, ალ. კალანდაძის, ა. ბობღაშვილის, დ. ბალიაურის და სხვათა ნაწარმოებები.

სერიის გამოცემა მოხდება 1991-94 წლებში.

აბონემენტის ღირებულებაა 4 მანეთი.

კოლექტიური და ინდივიდუალური შეკვეთები მიიღება 28 ნოემბრიდან მისამართზე: რუსთაველის პრ. 42, გამომცემლობა „მერანი“. ტელ. 93-21-86.

ფირმა „პერგამენტი“.

ანგარიშის ნომერი: 000363607, ბინ. სოც. ბანკის ქალაქის საოპერაციო სამმართველო, კოდი 52101.


---

# იქმნება ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია

**უკანასკნელ ხანს პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ ყალიბდება ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ასოციაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს როგორც ექიმ-ფსიქიატრებს, ასევე ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც დაინტერესებულია სულით დაავადებულთა მკურნალობის, მოვლა-პატრონობის, მოსახლეობის ფსიქიური ჯანმრთელობის შენარჩუნებით და გაუმჯობესებით.**

**ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ამ ასოციაციის საინიციატივო ჯგუფის წევრებს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის ასისტენტს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს გიორგი ნანეიშვილს და მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-მუშაკს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს სიმონ ხურბულაძეს. გთავაზობთ ამ საუბარს.**

**კორესპონდენტი:** თქვენი ორგანიზაციის სახელწოდება „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ასოციაცია“, გულისხმობს თუ არა ეს, რომ თქვენი მიზანია ზრუნვა ფსიქიურად დაავადებულთა მკურნალობის, მოვლა-პატრონობის და ადაპტაციისათვის?

**სიმონ ხურბულაძე:** ფსიქიური ჯანმრთელობის ცნებაში იგულისხმება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების წესი, ანუ ადამიანის ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, თანამშრომლებთან, საერთოდ მისი ადაპტაციის უნარი საზოგადოებაში. ფსიქიური სფეროს წონასწორობაზეა დამოკიდებული სურვილების, იდეალების, მოტივების ჰარმონიული ურთიერთკავშირი ცხოვრების მოთხოვნებთან. ამიტომაც გასაგებია, რომ ჩვენი მუშაობა წარიმართება, როგორც ფსიქიურ ავადმყოფთა მოვლა-პატრონობის, საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და რაც მთავარია, საზოგადოებაში მათ მიმართ კეთილგანწყობის, მზრუნველობის ატმოსფეროს შექმნისათვის, ასევე მოსახლეობაში ფსიქიური ჰიგიენის ძირითადი პრინციპების დასანერგავად.

**კორ. — რა იგულისხმება ფსიქიური ჰიგიენის ცნებაში?**

ს. ს. — ფსიქოჰიგიენის არსს წარმოადგენს იმ ელემენტარული ცოდნის პოპულარიზაცია, რომელიც ეხება ფსიქიური პროცესების ძირითად პრინციპებს, სოციალური გარემოს ზემოქმედებას ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე, ოჯახური, ინტიმური ყოფის დინამიკაზე. ეს ინფორმაცია აუცილებელია პიროვნების ჰარმონიული, სულიერი განვითარებისათვის, რაც გაუადვილებს ადამიანს პიროვნული და ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტას.

**გიორგი ნანეიშვილი:** თანამედროვე ცივილიზებული ადამიანის ცხოვრება ნებისმიერ საზოგადოებაში წარმოუდგენელია რიგი პიროვნული და სოციალური წინააღმდეგობების გადალახვის გარეშე, რისი გაძნელებაც ხშირად მიზეზია ფსიქიური დეზადაპტაციისა და დაავადებისაც კი. ამიტომ არის, რომ ზრუნვა მოსახლეობის ფსიქიურ ჯანმრთელობაზე ყოველთვის საზოგადოების განვითარების დონის მაჩვენებელია. ამის აუცილებელი პირობაა მოსახლეობაში ჯანმრთელი ფსიქიური ცხოვრების წესის დანერგვა სულიერი ცხოვრების სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებული ინფორმაციის პოპულარიზაციის საშუალებით. საყურადღებოა, რომ სწორედ ეს ცოდნაა საფუძველი იმ დამოკიდებულებისა, რომელიც საზოგადოებაში ყალიბდება ფსიქიურად დაავადებულთა მიმართ. ე. ი. რომ, ჩვენი ასოციაციის მუშაობის ეს ორი ასპექტი მჭიდროდ არის შერწყმული და პრინციპში ერთ მიზანს ემსახურება.

**კორ. — ძირითადად რა მიზნებს და ამოცანებს ისახავს თქვენი ასოციაცია?**

გ. ნ. — უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ასოციაცია არ არის სპეციალისტ-ფსიქიატრთა კავშირი, არამედ იგი აერთიანებს თავის რიგებში ყველა მოქალაქეს, განურჩევლად პროფესიისა, რომელსაც აწუხებს ერის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა, სულით დაავადებულ ადამიანთა ბედ-იღბალი და სურს თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს სახელმწიფოში არ ყოფილა და დღესაც არ არის შემუშავებული სრულყოფილი დემოკრატიული ხასიათის კონკრეტული საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ და დაიცავენ ფსიქიურად დაავადებულთა იურიდიულ და მოქალაქეობრივ უფლებებს. ამიტომ ჩვენი ასოციაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია გაეროს ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის პრინციპებიდან გამომდინარე სულით დაავადებულთა ინტერესების დაცვა ყველა ეტაპზე, მათი უფლებების განმსაზღვრელ [illegible] კანონთა პროექტების შემუშავება იურისტებთან ერთად.

ასოციაციის საქმიანობა მიმართული იქნება ფსიქიკურ ავადმყოფთა სოციალური ადაპტაციის უზრუნველსაყოფად, ამ ადამიანების მიმართ საზოგადოებაში დამოკიდებულების შეცვლისაკენ.

ს. ს. — ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის შექმნის აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა იმ დიდმა სოციალურმა ძვრებმა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. არადემოკრატიული რეჟიმის პირობებში ფსიქიატრია, როგორც არა მარტო სამედიცინო, არამედ სოციალური დისციპლინა, იზოლირებული იყო საზოგადოებისაგან, რამაც განაპირობა გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულება მის მიმართ, ამიტომ ასოციაცია თავის ამოცანად მიიჩნევს საქართველოს მოსახლეობის ფართო ინფორმირებას სულიერი ჯანმრთელობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ. ფსიქიკური დაავადებებისა და სულიერი კრიზისული მდგომარეობების პროფილაქტიკისადმი მიმართული ღონისძიებების ჩატარებას.

**კორ; — პირველ რიგში რა ნაბიჯების გადადგმას აპირებთ?**

გ. ნ. — ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ასოციაცია საკმაოდ დიდ და მრავალფეროვან პროგრამას ისახავს. თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ახლო მომავლის გეგმებზე. პრესისა და ტელევიზიის საშუალებით იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც გააშუქებს ადამიანთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ძირითად პრობლემებს. საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების სოციოლოგიურ-სტატისტიკური დამოუკიდებელი შესწავლა და ამ მონაცემების გამოტანა საჯარო განხილვაზე.

ჩვენ ვიმედოვნებთ აგრეთვე სპეციალური საკონსულტაციო პუნქტების შექმნას, სადაც მოქალაქეებს გაეწევათ ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული და იურიდიული კონსულტაცია, რასაც ექნება არაოფიციალური, ანონიმური სახე. სპეციალურ კურსებზე, წამყვანი სპეციალისტების მეშვეობით, მომზადდებიან კვალიფიციური კადრები საკონსულტაციო პუნქტებში სამუშაოდ.

ფსიქიკურ ავადმყოფთა სოციალური ადაპტაციისა და მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ასოციაცია ჩაატარებს ფართო საქველმოქმედო აქციებს (კონცერტები, აუქციონები, გამოფენები).

ასოციაციას უფლება აქვს შექმნას კოოპერატიული, აქციონერული, კომერციული საწარმოები, როგორც დამოუკიდებლად ისე სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად, სადაც იმუშავებენ ფსიქიკური ავადმყოფები და საწარმოთა შემოსავალი მოხმარდება მათ კეთილდღეობას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ასოციაციის მიზნების და ამოცანების შესრულება შეუძლებელია ჩვენი საზოგადოებრიობის თანადგომის და მხარდაჭერის გარეშე.

გათვალისწინებულია ფსიქიური მდგომარეობის გამაჯანსაღებელი, მოკლევადიანი ფსიქოთერაპიული ჯგუფების შექმნა, სადაც გამოყენებული იქნება თანამედროვე არატრადიციული მეთოდები: ტრანსცენდენტალური მედიტაცია, ფსიქოსინთეზი, გეშტალთერაპია და სხვა.

ბირსმა 1907 წელს გამოსცა წიგნი „სული, რომელმაც თავისი თავი იპოვა“. ამას მოჰყვა ამერიკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის ჩამოყალიბება, რომელიც ამჟამად საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობს სახელმწიფოში. 90-ზე მეტი ქვეყნის ასოციაცია გაერთიანებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო ფედერაციაში. ამ ფედერაციის გენერალური მდივანი არის გაეროს ოფიციალური კონსულტანტი. ეს ასოციაციები არსებობენ ძირითადად შენაწირების ხარჯზე. მათი მეურვეები არიან მსოფლიოს უდიდესი სამრეწველო ფირმები, რომლებიც მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიიჩნევენ.

ჩვენი ასოციაციის საინიციატივო ჯგუფმა საქმიანი კონტაქტები დაამყარა ფსიქიური ჯანმრთელობის მსოფლიო ასოციაციის ხელმძღვანელობასთან. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია შევა ამ ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად.

**კორ. — კონკრეტულად რა დახმარებას სთხოვთ საზოგადოებას?**

ს. ს. — უპირველესად ყოვლისა, საზოგადოებას ვთხოვთ, მეტი ყურადღება გამოიჩინოს ერის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მიმართ. ამაში ვგულისხმობთ მეტ შემწყნარებლობას, ზრუნვას სულით ავადმყოფთა მიმართ. პირად თანადგომას და წვლილს მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი ადაპტაციისათვის ხელის შეწყობას. მხარდაჭერა გვჭირდება იმ დიდი მუშაობის ჩასატარებლად, რომელიც საჭიროა მოსახლეობაში ფსიქოჰიგიენური ცოდნის გასავრცელებლად.

გ. ნ. — კონკრეტულ დახმარებას ვთხოვთ იურისტებს სულით ავადმყოფთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში; პრესისა და ტელევიზიის მუშაკებს, ჩვენი საერთო საქმის პოპულარიზაციაში; საწარმოების ხელმძღვანელებს, რათა ხელი შეგვიწყონ საკონსულტაციო-გამაჯანსაღებელი პუნქტების შექმნაში.

ქართველ ბიზნესმენებს ვთხოვთ მხარში ამოდგომას და ეკონომიურ დახმარებას ახალი ტიპის მცირე კოოპერატიული საწარმოსახელოსნოების შექმნაში.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ასოციაციის დამფუძნებელი კრება შედგება ა. წ. 29 ნოემბერს დღის I საათზე, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში (თბილისი, ასათიანის ქ. № 10) ყველას, ვინც დაინტერესდა აღნიშნული პრობლემებით, ვიწვევთ, რათა მონაწილეობა მიიღოს როგორც საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ასევე მის მუშაობაში.

---

# ცოტა რამ ისტორიიდან

როგორც ცნობილია, საქართველოს კომუნისტური პარტია „შეიქმნა“ 1920 წლის მაისში, საბჭოთა რუსეთ-საქართველოს რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმების ძალით. თვითონ ეს შეთანხმება ერთობ მნიშვნელოვანი წარმატება იყო ახალგაზრდა რესპუბლიკისა (ამით იგი საბჭოთა რუსეთმა დე-იურედ სცნო), მაგრამ ამავე ხელშეკრულებით საქართველო იძულებული იყო ელიარებინა მის ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობა და მათი მოქმედების უფლება. კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობის უფლება და გამომცემლობების (ბეჭდვითი ორგანოების) უფლებანი. ე. ი. ლეგალიზებულ იქნა მცირერიცხოვანი ბოლშევიკთა ჯგუფები, რომელნიც გაფორმდნენ „კომპარტიად“.

ჩვენ გვასწავლიდნენ ქართველ კომუნისტთა „გმირული“ საქმეების ისტორიას, იმ პარტიისას, რომლის წევრები მზად იყვნენ ბაქოსა და მოსკოვის მითითებით სამშობლოში სისხლიანი აჯანყებები მოეწყოთ დემოკრატიული პარლამენტის და მთავრობის წინააღმდეგ...

თავდაპირველად საქართველოს მთავრობა ლოიალურად იყო განწყობილი კომუნისტებისადმი გასაგები ობიექტური მიზეზების გამო — განსაკუთრებით 1920 წლის ივნისის შუა რიცხვებიდან, როცა თბილისში არსდება საბჭოთა რუსეთის საელჩო და ელჩად ინიშნება სერგეი კიროვი (კოსტრიკოვი), ქართველი კომუნისტები თავს უკვე იმედიანად გრძნობენ, — მათ ხომ დიდი რუსეთი იფარავს.

რუსეთის საელჩო თბილისში ბოლშევიკთა თავშესაფარი გახდა, ელჩი ბოროტად სარგებლობდა საელჩოს დიპლომატიური იმუნიტეტით, შენობაში ღამეებს ათევინებდა მამია ორახელაშვილს, დევნილს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის.

სერგეი მირონის ძე კიროვი თავდაპირველად უარზე იდგა, არ სურდა ელჩად წამოსვლა. საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს გიორგი ჩიჩერინს განუცხადა კიდეც, რომ მას დიპლომატისათვის საჭირო გამოცდილება არ ჰქონდა და ვერ შეძლებდა ელჩად მუშაობას. პასუხად მას უთხრეს: „ჩვენ საქართველოში გაგზავნით არა როგორც დიპლომატს, არამედ როგორც ბოლშევიკ-რევოლუციონერსო“. 1920 წლის 20 ივნისს კიროვი თბილისში ჩამოდის, თან მოჰყავს 40-ზე მეტი (!) თანამშრომელი, ეს რიცხვი შემდეგ 5-6-ჯერ გაიზრდება. საელჩოში, რომელიც ველიამინოვის ქუჩაზე (დღევანდელი დადიანის ქუჩა) თავისუფლების მოედანთან მდებარეობდა, რამდენიმე ქართველიც მსახურობდა. მათ შორის იყო სერგო ქავთარაძე — საელჩოს მრჩეველი (!).

ქართველი ბოლშევიკების „სასახელო საქმეები“ კიდევ უფრო მატულობს ოკუპაციის შემდეგ, ვითომდა „დამოუკიდებელ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში“. ეს რომ ნათელი იყოს, გავიხსენოთ ერთი დოკუმენტი, რომელიც დღევანდელ მკითხველთა ფართო წრისათვის ნაკლებადაა ცნობილი. როგორც ვიცით, 1921 წლის 16 მარტს თურქეთმა და საბჭოთა რუსეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალითაც საქართველო კარგავდა ართვინ-არტაანის ოლქს, ხოლო ბათუმის ოლქი (აჭარა) ავტონომიის უფლებებით უნდა აღჭურვილიყო. ამ შეთანხმებას რუსეთის მხრიდან ხელს აწერს გ. ჩიჩერინი. მაგრამ თურმე ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და მას განმტკიცება დაჭირდა საქართველოსაგან. და სწორედ ამიტომ 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში იდება ხელშეკრულება თურქეთ-და საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის მხრივ. „დამოუკიდებელი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ დელეგაციაში შედიოდნენ შალვა ელიავა — სამხედრო-საზღვაო საქმეების სახ. კომისარი და ალექსანდრე სვანიძე — საგარეო საქმეთა და ფინანსთა სახ. კომისარი, რომლებმაც უყოყმანოდ მოაწერეს ხელი ქართული მიწების გასაჩუქრებას. იმდროინდელ პრესაში ეს მოვლენა საკმაოდ ფართოდ იყო გაშუქებული და ამით ქართველი კომუნისტები ამაყობდნენ კიდეც — ვეხმარებით მოძმე რევოლუციურ თურქეთსო!

მკითხველისათვის საინტერესო იქნება გაეცნოს ქვემოთმოტანილ სტატიებს, რომელიც ეხება კომუნისტთა საქმიანობას, აგრეთვე ასახავს რუსეთის საელჩოს ცხოვრებას 1920 წლის მიწურულისათვის.

**„ბოლშევიკების მოღვაწეობა საქართველოში**

**საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი,**

# საქართველოს კომპარტიაზე, მის საქმიანობაზე და საბჭოთა რუსეთის საელჩოზე

**თანახმად III ინტერნაციონალის წესდებისა, ემორჩილება საბჭოთა რუსეთში არსებულ არალეგალური ცენტრის დირექტივებს და ამზადებს შეიარაღებულ გამოსვლას.**

**როგორც ჩვენს ხელთ არსებულ ცნობებიდან ჩანს, დასახელებული გამოსვლების მოსამზადებლად ისინი (ბოლშევიკები) თანხას უცხო სახელმწიფოდან იღებენ. ეს თანხა ხმარდება როგორც ლეგალურ, ისე არალეგალური მიზნების განხორციელებას.**

**ქართული და რუსული „კომუნისტი“ იყიდება 10 მანეთად, უფრო ხშირად კი უფასოდ არიგებენ. ეს იმ დროს, როცა ცალი გაზეთის გამოშვება ჯდება 20-26 მან.**

**დასახული მიზნის მისაღწევად კომპარტია ცდილობს უცხო სახელმწიფოდან მიღებული ფულით მიიმხროს მოსწავლე-ახალგაზრდობა. ამისათვის იგი არ ერიდება არავითარ საშუალებას. ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც აშკარად მოსყიდვის ბეჭედი აზის.**

**მიუხედავად ასეთი ხრიკებისა, საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა გადაჭრით უარყოფს კომუნისტების ამ გზას.**

**საქართველოს კომპარტია იმ უცხოელი ქვეშევრდომებისაგან შედგება, რომელნიც ვერ შერიგებიან საქართველოს დემოკრატიულ თვითგამორკვევას და რუსეთის ძველ საზღვრებში ცდილობენ დარჩენას.**

**საგანგებო რაზმის მონაცემებით, 8 დეკემბერს ტფილისში შემდგარა მე-2 რაიონის კომიტეტის სხდომა, რომელზედაც აჯანყების გეგმა [illegible] კრებას ესწრებ[illegible] 42 კაცი, მათგან მხოლოდ ოთხი კაცი აღმოჩნდა საქართველოს ქვეშევრდომი, ხოლო დანარჩენი [illegible] უცხო სახელმწიფოსი. პირველი რაიონის კომიტეტის 250 წევრთა შორის 178 უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომია, ასევეა სხვა კომიტეტებშიც.**

**პარტია, რომელიც უცხოელთაგან შედგება [illegible] თავის იმედებს ამყარებს უცხო შეიარაღებულ ძალაზე, ამიტომ ისინი ხშირად აზერბაიჯანის და კავკასის რევკომებს მიმართავენ დახმარებისათვის და ამ იმედით სულდგმულობენ.**

**მთავრობამ უნდა მიიღოს ენერგიული ზომები უცხოელ ქვეშევრდომთა მოქმედების ასალაგმავად და რესპუბლიკაში სრული წესრიგის დასაცავად“.**

**„ერთობა“, 18/XII—1920 წ. № 288.**

**ბოლშევიკები და საქართველო**

**საბჭოთა რუსეთმა სამოქალაქო ომის დროს შეიმუშავა ერთი სისტემა, რომელსაც ყველგან იყენებს. ეს სისტემაა ამნაირი. სანამ წითელი ჯარი მოადგებოდეს მტერს, მანამ მოწინააღმდეგე ბანაკში გაუშვებს აგიტატორებს, რომელნიც შიგნიდან გამოხრავენ მტრის სიძლიერეს, შეაშფოთებენ მის ზურგს, აუარებელი ფულით მოისყიდიან მტრის აგენტებს და როცა საქმეს გაათავებენ, დაუძახებენ წითელ ჯარს, ისიც სწრაფად ანადგურებს მოწინააღმდეგეს. ასე იყო მაგალითად, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში, შემდეგ ყირიმში და ახლა სომხეთში. საბჭოთა მთავრობამ ძალიან შეიყვარა ეს სისტემა და ამას ჩვენს რესპუბლიკაშიც ცდილობს ასევე გაიმეოროს.**

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს (საქდესი) გადასცა გამოსაქვეყნებლად ბევრი დოკუმენტი კომუნისტების მიერ ერის საწინააღმდეგო მუშაობის შესახებ.**

**ეს არის მაგალითები ისეთი შპიონაჟისა, რომელსაც ადგილი არ ჰქონია გერმანიის გენერალური შტაბის მუშაობაშიც კი მტრის წინააღმდეგ.**

**შპიონთა ამ დოკუმენტებში მთელი სისწორით აღწერილია საქართველოს სამხედრო მდგომარეობა და ყოველი ნაბიჯი. ამას გარდა, ეს დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ რუსეთი აუარებელ ფულებს ხარჯავს, რათა რესპუბლიკაში გამოიწვიოს აჯანყება, თავის სასარგებლოდ ამუშაოს საზოგადოებრივი აზრი.**

**ყოველი მოქალაქის და პოლიტიკური პარტიის ვალს შეადგენს ებრძოდეს იმ გარეშე ძალას, რომელსაც უნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა და ცეცხლითა და მახვილით თავისი უფლის დადება ჩვენს რესპუბლიკაზე“.**

**მისია თუ სამხედრო ერთეული?**

**არსადერთ დიპლომატიურ მისიას ალბად ქვეყანაზე არ ეყოლება იმდენი ხალხი, რამდენიც ბოლშევიკების საელჩოს საქართველოში. როგორც ოფიციალური წყაროებიდან ჩანს, ეს რიცხვი 800-ს გადააჭარბებს — გამოდის, რომ სახელმწიფოში კიდევ სახელმწიფოა. სად გაგონილა ასეთი მრავალრიცხოვანი საელჩო?**

**რა არის ეს მისია თუ სამხედრო ერთეული?**

**ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, იღებს თუ არა ჩვენი მთავრობა ზომებს იმის შესახებ, რომ მისიას ჰგავდეს და არა შეიარაღებულ ბანაკს. მთავრობამ უნდა გვიპასუხოს — ეს ლაშქარი მართლა მისიის მიერ არის დაქირავებული თუ მისი სახელით და მდგომარეობით ვინმე ბოროტად სარგებლობს?**

**მოქალაქე თუ მოღალატე**

**ამ ბოლო დროს თბილისში ძლიერ გამრავლდნენ წითელქუდიანები. საბჭოთა რუსეთის საელჩოს მომსახურეთა გარდა, ამ ფორმას ატარებს ჩვენი მოქალაქენიც, ქართველი ბოლშევიკები.**

**ჩვენ ვიცით ამ უკანასკნელთა მისწრაფებანი, ისინი სიტყვით „აღიარებენ“ საქართველოს დამოუკიდებლად, მარა საქმით მის დამხობაზე მუშაობენ, შეთქმულთა რაზმებს აწყობენ შინ და გარეთ რუსეთის უცხო ძალებს საქართველოში შემოსახვლელად მოუწოდებენ.**

**ეხლა ეს ვაჟბატონები ქუჩებში უცხოელთა ფორმაში დადიან.**

**ვინ არიან ისინი? მოქალაქენი თუ მოღალატენი?**

**რუსეთის „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში“ ასეთი საქციელისათვის ხვრეტენ, ჩვენში კი ციხეში რატომ მაინც არ ვხედავთ ამ კლოუნებს?“**

**გაზეთი „მიწა“, მიწის მესაკუთრეთა ეროვნულ პარტიის ორგანო, № 82 8/XII-1920 წ.**

ალბათ, ყველამ იცის, რომ საქართველოს რევკომის წევრები მოღალატეებად იქნენ გამოცხადებულნი. არავის ეგონოს, რომ ვინმეს იარლიყს ვაწებებდეთ. ამის თაობაზე არსებობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — დამფუძნებელი კრების დადგენილება:

**„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დადგენილება.**

**დამფუძნებელმა კრებამ 21 თებერვლის საღამოს სხდომაზე დაადგინა:**

**I**

**ვინაიდან საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ ქართველი ხალხის უღირსი შვილები, ამიტომ ყველა ის ქართველნი, ვინც უშუალოდ მონაწილეობას იღებს საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში, ანდა დახმარებას უწევს მტრებს, ცხადდებიან სამშობლოს მოღალატეებად, კონფისკებულ იქნეს მათი ქონება, ჩამოერთვათ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობა და არ გავრცელდეს მათზე რესპუბლიკის კანონების მფარველობა. მთავრობას დაევალოს ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა:**

**II**

**მოისმინა რა მთავრობის მოხსენება, საიდანაც ცნობილი გახდა შულავერში ჯგუფის ჩამოყალიბება და ეს ჯგუფი თურმე თავისთავს საქართველოს მთავრობას უწოდებს, წინ მიუძღვის რუსეთის წითელ არმიას საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, დამფუძნებელი კრება ადგენს:**

**ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ომარ ფაიკო, ამაიკ ნაზარეთიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია გამოცხადნენ ქართველი ხალხის მოღალატეებად, კონფისკებულ იქნას მათი ქონება და არ გავრცელდეს მათზე საქართველოს კანონების მფარველობა;**

**III**

**დაევალოს მთავრობას მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა საუკეთესოდ იქნას ორგანიზებული სამშობლოს დაცვა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლა;**

**1921 წლის 21 თებერვალი დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია“.**

მართალია, იმ ხანებში ეს დადგენილება სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შესრულდა, მაგრამ მათ, ზემოჩამოთვლილ ადამიანებს ბედმა თანამოაზრეთა ხელით მაინც არგუნა სიკვდილი, ისინი 37-ში გააქრეს.... უკლონისტობის გამო.

დღეს წარსული შეცდომით (და არამარტო წარსული) მხრებდამძიმებული საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ახალ უზენაეს საბჭოში მონაწილეობს. გავეცანით მის საარჩევნო პროგრამასაც: ვენდოთ? მაგრამ ასჯერ ტყუილის მთქმელს ერთხელ მართალსაც რომ აღარ უჯერებენ?

**სიმონ კილაძე,**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.**

---

**საქართველოს ეროვნული კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის**

# განცხადება

საქართველოს ეროვნული კონგრესის II სესია გაიმართება 1990 წლის 30 ნოემბერს და 1 დეკემბერს [illegible]

---

**საქართველოს სახალხო ფრონტის**

# განცხადება

[illegible]

**სხფ-ს [illegible]**

---

**ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის**

# განცხადება

[illegible]

---


**ანონსი — ანონსი**

# საქველმოქმედო კომერციული ფირმა „ჰუმანიზმი“

# 21, 22 და 23 დეკემბერს

**სპორტის სასახლეში აწყობს ტუჯების საერთაშორისო კონკურსს „ტუჯების შოუ-90“-ს**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ყველა ასაკის და ეროვნების ტუჯებს. [illegible] 10 დეკემბრამდე, ყოველდღე 10-დან 18 საათამდე [illegible]

კონკურსის საპრიზო ფონდი:
პირველი პრემია — 5000 მან.
მეორე პრემია — 3000 მან.
მესამე პრემია — 2000 მან.
აგრეთვე მრავალი პრიზი და სამახსოვრო საჩუქრები.

შოუ-კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ პოპულარული ანსამბლები და მომღერლები. ფირმა „ჰუმანიზმი“ [illegible] „ტუჯების შოუ-90“-ს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეზობელო კარისაო...

## (ახალი დოკუმენტური მასალები ჰუჯაბზე)

ჰუჯაბის გეგმა
ტფილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრა, აღნიშნული მომიჯნავე გეგმაზე № 5 უბნად, თავად მიხეილ ივანეს-ძე მელიქიშვილის საკუთრება (1895 წ.)




| სავარგულების დასახელება | დესეტინა |
|---|---|
| ტყე | 520,40 |
| ველობი | 4,08 |
| საზაფხულო საძოვრები | 33,40 |
| სულ გამოყენებული | 557,88 |
| გზა | 0,38 |
| მდ. ბოლნისისწყლის ნახევარი | 0,20 |
| სულ გამოუყენებელი | 0,58 |
| ს უ ლ | 558,46 |

**კობა ხარაძე, დაუღალავი მეცნიერი და მკვლევარი იმ გულმხურვალე მამულიშვილთა წარმომადგენელია, რომლებსაც საკუთარი და ეროვნული სატკივარი ერთმანეთისაგან არასოდეს გაურჩევია. ეს ის კაცი გახლავთ, რომელიც ჩვენს გვერდით იდგა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჰუჯაბის ბედით თითო-ოროლა კაცი იყო დაინტერესებული. დღეს, როცა საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინების“ გარდა ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსის საკითხი მთელი ქართველი ერის სატკივარი გახდა, ბატონი კობა ისევ მხარში გვიდგას და გამუდმებული კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებულ ახალ დოკუმენტურ მასალებს გვთავაზობს.**

**საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“**

ქართველი ხუროთმოძღვრის მიერ XIII საუკუნის შუა წლებში, დიდი რუდუნებით ნაგები და მოხატული ჰუჯაბის ტაძარი...

საუკუნეებგამოვლილი... მრავალჭირმონახულე და უამრავი

ამბის უსიტყვო მემატიანე...

ხელთუქმნელი ძეგლი...

ბევრჯერ მიწისძვრის შემოტევებისგან მედგრად მდგარი, კიდევ უფრო მეტჯერ მტრისგან დარბეული...

საუკუნეების მანძილზე ვის არ გაუვლია მის სანახებში, მტერსაც და მოყვარესაც: არაბებსა და თურქსელჩუკებს, ჯალალედინსა და თემურლენგის ურდოებს; აქ გაუვლიათ დავით აღმაშენებლის სამეფო გვარდიას, თამარ მეფის ლაშქარს, ერეკლე მეორის მორიგე ჯარს. აქ დადიოდნენ ფეხით და ცხენით, ჯორ-აქლემებით, საბრძოლო ორთვალებით და ეტლებით. არა ერთხელ გაუვლია გამარჯვებულ ქართველ ლაშქარს და სანადიროდ და სანადიმოდ მიმავალ ქართველ მეფეთა ამალას...

XVIII საუკუნის მემატიანე გადმოგვცემს: „არს მონასტერი ჰუჯაბისა, გუნბათიანი, კეთილს ადგილს და აწ ცალიერ არს“... XX საუკუნის დასაწყისში მონასტრის მიდამოები კვლავ ახმაურდა, მაგრამ სულ სამი ათეული წლის შემდეგ დარბეული მონასტერი კვლავ დაადუმეს...

და აი, საუკუნის მიწურულს იმედი ჩაისახა — გადაწყდა ჰუჯაბის სანახებში ქართული სულის ჩასახვა...

არასოდეს მოშლოდეს ჰუჯაბის მონასტერს ქართული სული...

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჰუჯაბის შესახებ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ორ ათეულამდე წერილი გამოქვეყნდა, რომლებშიც სხვადასხვა რაკურსით იყო წარმოჩენილი მისი პრობლემა. მისი სატკივარი მთელმა ქართველმა ერმა გაიზიარა და მოუთმენლად ელის მის მომავალს. ამ ხნის მანძილზე ათეულობით საარქივო საბუთი, რუკა თუ გეგმა გამოვლინდა, რომლებშიც მოცემულია ჰუჯაბისა და თვით ჰუჯაბის მონასტერზე დოკუმენტური მასალა. ყველა მათგანის ჩამოთვლაც კი შეუძლებელია, ეს კი თვალნათლივ მიგვითითებს ჰუჯაბის ესოდენ დიდ მნიშვნელობას როგორც წარსულში, ისე დღეს. ჩვენს მკითხველებს, ჰუჯაბისადმი ასეთი დიდი ინტერესის გამო, გვინდა მივაწოდოთ ზოგიერთი ცნობა ამ მასალებიდან. მით უმეტეს, საფუძველი ჩაეყარა მამულიშვილურ საქმეს, საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინების“ ინიციატივით მიმდინარეობს ნასოფლარ ზემო ჰუჯაბის აღდგენა. უკვე დაწყებულია სამათეულზე მეტ კომლიანი ქართული სოფლის მშენებლობა, რომელიც ძველ ტრადიციულ თვითმართველობაზე იქნება დაფუძნებული. ამის შესახებ ჩვენი მკითხველები ინფორმირებულნი არიან გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ (9 ივნისი 1990) საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინების“ პრეზიდენტ პაატა გომელაურის ინტერვიუდან.

ჩვენმა მკითხველებმა ისიც იციან, რომ ჰუჯაბის მონასტრის მთავარი გუმბათიანი ტაძარი XIII საუკუნეშია აშენებული, ხოლო აქვე არის უფრო ადრინდელი პერიოდის ეკლესია. ცხადია, აქ ქართველები ცხოვრობდნენ და ჰუჯაბის ეკლესიებიც ქართული, მართმადიდებლური სტილით არის აგებული. XVIII საუკუნის დასაწყისში ჰუჯაბის ტერიტორია სადედოფლო მამულებს ეკუთვნოდა, სადაც ძირითადად ელიარაშვილები ცხოვრობდნენ. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბოლნისისწყლის ზემო ნაწილი თითქმის ნასოფლარებად იქცა, რომელთა საკმაო ნაწილი დღესაც დაუსახლებელია. მათ შორის იყო ზემო ჰუჯაბიც. ჰუჯაბის მიმდებარე ნასოფლარში კი ჯერ კიდევ ერეკლე მეორემ ყარაბაღიდან გადმოსახლებული სომხებით აღადგინა ნასოფლარი, რომელსაც ქვის ხიდის თეთრი იერის გამო ახქერფი ეწოდა. ცხადია, სოფლის შემოგარენსა და ძველ ნაგებობებს ახალდასახლებული სომეხი მოსახლეობა დაეპატრონა.

XIX საუკუნეში თითქმის მთელ საქართველოში მიმდინარეობდა გრიგორიანული მოძრაობა, რომელთა ერთ-ერთ მიზანს ქართული ეკლესია-მონასტრებზე ძველი ლაპიდარული წარწერებისა და სხვა დამახასიათებელი ქართული ნიშნების განადგურება წარმოადგენდა, რაც საშუალებას მისცემდა მითვისებინათ ეკლესიები. ამ მოძრაობის მსხვერპლი გახდა არაერთი ტაძარი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ბევრი მათგანი დაინგრა ან გადაკეთდა... ქართველმა პატრიოტებმა თავისთავად გამაფრთხილებელი ზარი შემოკრეს, მაგრამ ამდენად მასიური და გეგმაზომიერი იყო ეს პროცესი, რომ საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. ამიტომ იყო ილია ჭავჭავაძემ „ქვათა ღაღადი“ რომ დაწერა. საჭირო გახდა სასწრაფო ზომების მიღება იმისათვის, რომ მომხდარიყო წარწერების, ფრესკებისა და ჩუქურთმების ფიქსაცია. 1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ ხუთი წერილი დაიბეჭდა ამ საკითხზე — „ჩვენი ისტორიულნი ნაშთნი და მათი სვე“. ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია: „...ათასორასმა წელმა მეტად და არა ნაკლებ ექვსასისა წელმა გადავლო საშინელის გრიგალთ და ვერ შეახო ხელი დარღვევისა და განადგურებისა. მოაღწიეს იმ დრომდის, ოდეს ყველასათვის თვალსაჩინოდაა რომ მეტყველებანი — წარწერანი წარსულთა საუკუნეთა ცხოველ არიან საგანთა თანა დ მომავალ თაობას თვალწინ უხატავენ წარსულთა დროთა ვითარებას! ამ ბედნიერ შეგნებას მოჰყვა და მოსდევს უბედურესი და უსაშინლესი განსაცდელი, რომ ისინი, ვინც ღვიძლ-ძმად მიგვაჩნია და მოველით იმათთან შესისხლხორცებასა, მეორედა ვინც — საქართველოს კალთას ქვეშ იპოვნეს რქა ცხოვრებისა — ხსნისა. დღეს ისინი გამხდარან მოსისხლე მტერად ამ დიდებულთა წარწერებით ალსავსე ქვათა და უმსგავსებითა ალსავსე ხელით სცდილობენ შემუსრონ და ამოამტვრიონ წერაქვითა და წარწერანი... არაბები მფლობელობდნენ ორასი წელიწადი და ისინი არ სჩადიოდნენ ამ ამბებს, რასაც დღეს ვხედავთ და გვესმის. მისდგომიან და ანგრევენ ტაძრებს რკინის კეტით, წერაქვით, ანადგურებენ ნახატებს, თვალებს სჩიჩქნიან წმინდანებს და სხვათა...“ ასეთი ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ ვერც ჰუჯაბის მონასტერი გადაურჩა ამ აქციას. 1896 წლის 6 იანვარს გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ იუწყებოდა, რომ „გაქრა ჰუჯაბის ეკლესიის წარწერა ბორჩალოს მაზრაში“. სწორედ ამიტომ აფრთხილებდა ზემოთ მოყვანილ „ივერიის“ წერილში ვინმე ხუცესი, რომ „ამას ყოველიფერს მოვლა უნდა, რომ შეუბღალავად გადაეცეს მომავალ თაობას. რაღა უნდა ჩავაბაროთ, თუ ეს ნაშთებიც განჰქრებიან ჩვენის საკუთარის დაუდევრობის გამო? ჩვენ ვიქნებით ღირსნი შთამომავალთაგან კრულისა და წყევისა! დრო არის დაიწეროს თვითეულმან და ხელიხელ გადახვეულნი შეუდგნენ საყურადღებო ნაშთების შესწავლას ყოველის მხრით, აღწერონ, რაცა მოცთუნება რამეა შესწორდეს და ეს უტყუარი ნაშთნი იყვნენ კუალად და კუალად დარაჯად წარსულთა დროთა დიდებისა და აწმყო დროისა დაუდევრობისა!“ აბა, ერთეული ადამიანები ამას როგორ გაართმევდა თავს და როცა ექვთიმე თაყაიშვილი ჰუჯაბის მონასტერს 1894 წელს ესტუმრა, სამხრეთის კარის წარწერიანი ქვა განადგურებული დაუხვდა. შემორჩა მხოლოდ საკურთხევლის სამხრეთ პასტოფორიუმში — სადიაკვნეში თანადროული მხატვრობისა და ქართული წარწერების ფრაგმენტები.



საბოლოოდ ვინმე ხუცესი გაფრთხილდება — „ანგრევენ ძველს ნაშთებს, წარწერებს სპობენ და ჩვენ-კი გვძინავს. დრო არის, დრო თვალები მოვიფშვნიტოდ, მივიდეს ახლო, ვნახოთ ეს მოკაკანე ქათმები და ერთი ვიღონოთ რამე ნაშთების შესახებ“. სამწუხაროდ, არამც იმ დროს, დღესაც ვერ გვიღონია ჩვენი ზოგიერთი ძეგლის დაცვისა და შენარჩუნებისათვის...

ისევ ჰუჯაბს დავუბრუნდეთ; XIX საუკუნეში მთელი ეს მხარე თავად მელიქიშვილების კუთვნილება იყო. ამის შესახებ ბევრი საარქივო საბუთი არსებობს. თვით ჰუჯაბი და მისი მიმდებარე ადგილები ეკუთვნოდა მიხეილ ივანეს ძე მელიქიშვილს. სწორედ მელიქიშვილებმა ნება დართეს 1905 წელს ჰუჯაბის მონასტერში ბინა დაედოთ მონაზვნებს. აქ მოსულან საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან მართლმადიდებლები, წინა წერილებში აღნიშნული იყო თუ როგორ დაარსდა ჰუჯაბის, ანუ ივერიის მონასტერი. თავად მელიქიშვილმა მათ ორი დესეტინა (2,18 ჰა) მიწა გამოუყო, რომელსაც ამუშავებდნენ მონაზვნები. ამ ტერიტორიაზე მათ ჰქონდათ ხეხილი, ფუტკრის სკები, ასევე ჰყავდათ პირუტყვი.

თვით ჰუჯაბის მიმდებარე ტერიტორიას მელიქიშვილები სხვადასხვა მიზნით იყენებდნენ. ათვისება და გამოყენება გეგმაზომიერად მიმდინარეობდა. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა იმ პერიოდის მასალები. ახლახან მიხეილ მელიქიშვილის მემკვიდრეთა ბინაზე მიკვლეულ იქნა ჰუჯაბის გეგმა-საბუთი, რომლითაც მრავალ საინტერესო საკითხს ვგებულობთ. თვით მიხეილ მელიქიშვილის შვილი ნიკოლოზი ცნობილი ექიმი იყო, რომელმაც სამედიცინო განათლება ვარშავისა და დორპატის (ახლანდელი ტარტუ) უნივერსიტეტში მიიღო, ხოლო სამკურნალო პრაქტიკას პარიზის, ბერლინის, ციურიხის, ვარშავის, პეტერბურგისა და მოსკოვის კლინიკებში დაეუფლა. 1908 წელს კი თბილისში დააარსა მრავალპროფილიანი სამკურნალო, რომელიც შემდგომ თბილისის პირველ ქართულ სამკურნალო სახელით გახდა ცნობილი. ნიკოლოზის შვილმა მაკა მელიქიშვილმა ტრადიციას არ უღალატა და ისიც ექიმის პროფესიას დაეუფლა. სწორედ, ქალბატონმა მაკამ მამისა და პაპის არქივში იპოვა ზემოთ ნახსენები უნიკალური დოკუმენტი, რომელიც სიამოვნებით გაგვაცნო ჩვენც.

გეგმის სათაურია — „ჰუჯაბის გეგმა, ტფილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრა, აღნიშნული მომიჯნავე გეგმაზე № 5 უბნად, თავად მიხეილ ივანეს ძე მელიქიშვილის საკუთრება“. მოცემული ტერიტორიის აღმოსავლეთი საზღვარია მდ. ჰუჯაბი, რომელიც თავის მხრივ ესაზღვრებოდა თვით ნიკოლოზის დის ნინო ივანეს ასული მელიქიშვილის მამულს. დასავლეთით მამკუტის სერი და ივანე ალექსანდრეს ძე მელიქიშვილის მამული იყო. ჩრდილოეთით მდ. ბოლნისისწყალი საზღვრავდა, ხოლო სამხრეთით ზედ ლალვარის მწვერვალამდე აღწევდა. ამჟამად, ეს უკანასკნელი ადგილი ჰუჯაბის მონასტრიდან რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული.

გეგმაზე მოცემული მიხეილ ივანეს ძე მელიქიშვილის მამულის ფართობი 558,46 დესეტინა იყო, ანუ 610,20 ჰექტარი. ამ ტერიტორიაში შედიოდა — ტყე, ველები, საზაფხულო საძოვრები, გზები, მდინარეები. ტყის მთელი ფართობი 520,40 დესეტინას შეადგენდა. როგორც ხედავთ, ტყის ფართობი მოცემულ ტერიტორიაზე ძალზე მაღალია. მთელი ეს ტყიანი ნაწილი დაყოფილი იყო 5 უბნად. თითოეული უბანი დასამუშავებელი იყო ათწლიანი ვადით, ისე, რომ ერთი უბნის ტყის გამოხშირვა-გამოკაფვა 10 წლის მანძილზე ხდებოდა, შემდეგ მეორე უბანზე, და ასე შემდეგ მორიგეობით; სულ გეგმაზე 50 წლიანი პერიოდია ასახული — 1896 წლიდან 1945 წლამდე. ეს ტყის ექსპლოატაციის სწორად წარმართვისა და ტყის დაცვის მიზნით იყო გაკეთებული. თვით თითოეულ უბანში მცირე საცდელი მონაკვეთიც არსებობდა, სადაც მიმდინარეობდა დაკვირვებები მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე, შემადგენლობაზე და სხვ. გეგმაზე მითითებულია თითოეული უბნის ფართობი და მასზე განლაგებული მცენარეთა სახეები. ძირითადად აქ წიფელი, რცხილა და პანტა ყოფილა გავრცელებული. ტყის უბნების ასეთი მორიგეობა, ტყის მასივების გამოყენებას უდიდესი ბუნების დაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა.

რა მდგომარეობაში იყო ტყე თვით მონასტრის ირგვლივ? უნდა აღინიშნოს, რომ ყველგან, ეკლესია-მონასტრების სანახებში, გარკვეულ ფართობზე აკრძალული იყო მცენარის მოჭრა, რადგან წმიდა, ხელშეუხებელ ადგილს წარმოადგენდა. ამიტომაც არის გეგმაზე ცალკე შემოფარგლული ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე წიფლის ტყისუბანი წითელი ზოლით 0,50 დესეტინა, ე. ი. 0,55 ჰექტარი. ამდენად, ეს იყო ტყის ხელყოფისაგან აკრძალული უბანი.

ჰუჯაბის გეგმა ფერადია და მაღალ ტოპოგრაფიულ-კარტოგრაფიულ დონეზეა შესრულებული. სამწუხაროდ, გაზეთი საშუალებას არ იძლევა ფერადი სახით მივაწოდოთ იგი მკითხველს. ამიტომ, გეგმა ძალიან სქემატურად გადმოვიღეთ, რომელსაც ვერც ჰორიზონტალები დავურთეთ და ვერც ის მრავალფეროვანი ინფორმაცია, გეგმას რომ ახლავს. გეგმა ქართული ვარიანტით გადმოვიღეთ და რამდენჯერმე შევამცირეთ (ორიგინალის ზომა არის 67 X 50 სმ, ხოლო მასშტაბი 1 სმ-ში 85 მეტრი).

ზემოთ აღწერილი გეგმა-საბუთი მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტია როგორც ამ ტერიტორიის ფლობისა, ისე მისი ეკონომიკური პოტენციალისა. სამწუხაროდ, დასახული მიზანი ბოლომდე ვერ იქნა განხორციელებული და მხოლოდ ორი პერიოდი იქნა გამოყენებული. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სწორედ ამ მხრიდან შემოუტიეს სომხებმა და სხვა ტერიტორიებთან ერთად დაიკავეს მელიქიშვილების მამულები. შემდეგში კი, საბჭოთა წლებში, სულ უფრო უკან და უკან წავიდა ამ მხარის ბედ-იღბალი.

**კობა ხარაძე**

**(გაგრძელება იქნება)**

**[illegible] ჰუჯაბის მშენებლობის [illegible]**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „მთავარია საქმის სიყვარული...“

**შოთა ხინჩაგაშვილი... ამ სახელის გაგონებაზე ბევრს, ალბათ, გუშინდელი დღესავით წარმოუდგება თვალწინ 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისის ჩვენი „დინამო“, ყველასათვის საყვარელი და მშობლიური გუნდი. და ამ გუნდს თავისი შესანიშნავი სოლისტებითა და ბრწყინვალე პედაგოგით არაერთი სიხარული მოუტანია ქართველი გულშემატკივარისათვის. შოთა ხინჩაგაშვილიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო იმ შესანიშნავი ანსამბლისა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. ვისაც შოთა ხინჩაგაშვილის თამაში უნახავს, ალბათ, დამეთანხმება, რომ ის იყო ბრწყინვალე მცველი, უშიშარი რაინდი, თავისი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი და... მეტად უიღბლო ფეხბურთელი. ამჟამად ბატონი შოთა ქალაქ რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსია (წოდება — მილიციის მაიორი). თუმცა, უფეხბუროთოდ ცხოვრება მას ვერ წარმოუდგენია...**

— ფეხბურთის თამაში შედარებით გვიან დავიწყე, — იხსენებს ბატონი შოთა. VII კლასში ვიყავი, როდესაც რუსთავში (სადაც გავიზარდე და ჩემი ახალგაზრდობის წლები გავატარე) ერთი მწვრთნელი „გადამეკიდა“. სამჯერ სახლშიც მომაკითხა, მაგრამ დედაჩემისგან სასტიკი უარი მიიღო ჩემს ფეხბურთელობაზე. მაგრამ მიშა თოროზაშვილი მეტად „ჯიუტი“ კაცი აღმოჩნდა და ბოლოსდაბოლოს დედაჩემმა ორივეს გვითხრა: — „წადით, თავში ქვა გიხლიათო“...

**— თავიდანვე მცველად თამაშობდით?**

— არა, ჯერ თავდასხმაში გამოვდიოდი და მეტად შედეგიანი ფორვარდის სახელიც მქონდა. მაგრამ ერთ-ერთი თამაშის წინ მიშა თოროზაშვილმა დაცვაში დამაყენა და მითხრა — „აი, ეს არის შენი ადგილიო“. ამის შემდეგ გლდანის სპორტსკოლაში გადავედი, რომლის დამთავრებისათანავე ალიოშა კოტრიკაძემ რუსთავის „მეტალურგში“ მიმიწვია.

●

1968 წლის აგვისტოდან 17 წლის შოთა ხინჩაგაშვილი უკვე მტკიცედ იკავებს ადგილს რუსთავის „მეტალურგის“ ძირითად შემადგენლობაში. 1970 წლის დასაწყისიდან კი იგი თბილისის „დინამოშია“...

●

— „დინამოში“ მაშინდელმა უფროსმა მწვრთნელმა, ამჟამად ჩემმა უფროსმა მეგობარმა და კოლეგამ გივი ჩოხელმა მიმიწვია; კარგად მახსოვს, თებერვალში იტალიაში მიგვიწვიეს საკონტროლო მატჩების ჩასატარებლად. ჩემს გარდა მარცხენა მცველის ადგილზე ორი ფეხბურთელი გამოდიოდა — გამოცდილი გურამ ცხოვრებოვი და შედარებით ახალგაზრდა რევაზ ჰოხონელიძე. იტალიაში ცხოვრებოვმა ფეხი იტკინა და დანარჩენი თამაშები ჰოხონელიძემ ჩაატარა. აი, ლესელიძეში კი, სადაც სეზონისწინა შეკრებაზე ვიმყოფებოდით, უკვე ძირითადში ვთამაშობდი, მაგრამ მაინც გაურკვეველი იყო, თუ ვინ გამოვიდოდა საკავშირო ჩემპიონატზე მარცხენა მცველის ადგილზე. პირველი თამაშის წინ ჯერ დუბლშემადგენლობა გამოაცხადეს და ჩემი გვარი რომ ვერ მოვისმინე, ვთქვი, — რახან დუბლშიც ვერ მოვხვდი, ე. ი. საქმე ძალიან ცუდად არისო... მაგრამ, ამ დროს, გივი ჩოხელმა მეხუთე ნომრად შოთა ხინჩაგაშვილი დაასახელა და ბიჭებს თხოვნით მიმართა ჩემთვის მხარი დაეჭირათ...

●

აქედან იწყება შოთა ხინჩაგაშვილის შესანიშნავი (და კიდევ ვიმეორებ მეტად უიღბლო) საფეხბურთო კარიერა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში. 13 (!) სეზონი იცავდა მის ღირსებას და ამ ხნის განმავლობაში მშობლიური გუნდის სახელით მხოლოდ 350 შეხვედრამდე მოუწია გამოსვლა. მიზეზი კი ტრავმები, თანაც ისე ხშირად, რომ ძნელია რომელიმე სეზონის გამოყოფა, რომელშიც ყველა რანგის შეჯიბრებებში (პირველობა, თასი, საერთაშორისო, ამხანაგური, ნაკრები) 30-მდე თამაში ჩაეტარებინოს... თუმცა, სჯობია, ისევ მისი დებიუტის წელს დავუბრუნდეთ.

●

— ხშირად მეკითხებიან, თუ რამდენი გოლი მაქვს გატანილი ჩემი კარიერის მანძილზე. — 1... ეს ერთადერთი ბურთი 1979 წელს გავიტანე საკავშირო თასის ფინალში მოსკოვის „დინამოსთან“, რომლის კარსაც ლევ იაშინი იცავდა. იმ თამაშში მოედანზე მეორე ტაიმში გამოვედი და მაშინ, როცა ანგარიში უკვე 2:0 იყო მოსკოველთა სასარგებლოდ, დაახლოებით 30 მეტრიდან მარჯვენა ფეხით ბურთი მეტოქის კარის „ცხრიანში“ მოვათავსე... აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ კიდევ მქონდა იმავე მატჩში ერთი აშკარა საგოლე მომენტი, მაგრამ, ალბათ, გამოუცდელობის გამო ვერ გამოვიყენე. აი, ასე გავიტანე ჩემი პირველი და უკანასკნელი გოლი...

●

ამაში არც არის გასაკვირი არაფერი, მისივე სიტყვებით ერთნი **(მცველებზეა საუბარი — გ. ტ.)** თავდამსხმელებს უკეთ ეხმარებოდნენ, ვიდრე მეორენი. გავიხსენოთ, თუნდაც, მისი შესანიშნავი პარტნიორები სხვადასხვა დროს — ჯერ რევაზ ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავა, შემდგომ კი თამაზ კოსტავა და ალექსანდრე ჩივაძე. თავდასხმის ხაზში შოთა ხინჩაგაშვილის გამოჩენა ძალზე იშვიათად ხდებოდა, მხოლოდ მაშინ, როცა უკვე გუნდს ძალიან უჭირდა და აქ ერთი ეპიზოდი მინდა გავახსენო ჩვენს მკითხველებს, რომელიც საკმაოდ კარგად ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში და რომელიც კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, თუ როგორ იჩაგრებოდა ჩვენი „დინამო“. 1977 წლის სეზონის მიწურულს თბილისის „დინამოს“ ბოლო ორ ტურში სამი ქულა რომ დაეგროვებინა, ჩემპიონი ხდებოდა. და აი, მატჩი მოსკოვში „ტორპედოსთან“. შეხვედრის მსვლელობაში „დინამო“ თავდაპირველად აგებდა — 0:3, მაგრამ შემდეგ, თავგანწირული შტურმი ბოლო წუთებში და ანგარიშის სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა, ხოლო ბოლო წუთზე კი დინამოელებმა ანგარიში გაათანაბრეს კიდევაც... მაგრამ, გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა შოთა ხინჩაგაშვილის მხრიდან, რომელიც ყველაზე ახლოს იყო მეტოქის მეკარესთან. ასეა თუ ისე, იმ წელს ჩემპიონობა, ფაქტიურად, წაართვეს „დინამოს“, მაგრამ მომავალ წელს მათ მაინც დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე. თუმცა, ამაზე ცოტა ქვემოთ.

●

— თავს ბედნიერად ვთვლი, რომ გუნდში ისეთი შესანიშნავი ფეხბურთელები დამხვდნენ, როგორებიც იყვნენ სლავა მეტრეველი, რამაზ ურუშაძე და, რა თქმა უნდა, ჩემი პარტნიორები დაცვის ხაზში — რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა და ვახტანგ ჭელიძე, რომელთაგანაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი მხარდაჭერასა და თანადგომას. როცა იცი, შენს გვერდით ასეთი ფეხბურთელები გამოდიან, შენც გარკვეული ძალით თამაშობ. ასევე მადლიერების გრძნობით ვიხსენებ ყველა იმ მწვრთნელს, რომელთანაც მომიწია „დინამოში“ თამაში — გივი ჩოხელს, ალიოშა კოტრიკაძეს, გავრილ კაჩალინს (უაღრესად კულტურულ ადამიანს და შესანიშნავ მწვრთნელს), და, რა თქმა უნდა, ნოდარ ახალკაცს...

**— თუ არ ვცდები, თქვენ მიხეილ იაკუშინის დროსაც გამოდიოდით გუნდში.**

— სხვათა შორის, იაკუშინი გუნდიდან მიშვებდა კიდეც...

**— მიზეზი?**

— ალბათ, ხშირი ტრავმები. წარმოიდგინეთ, ფეხბურთელი, რომელიც წლების მანძილზე ძირითად შემადგენლობაშია და უეცრად გუნდში ახლად მოსული უფროსი მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი თვლის, რომ ასეთი ფეხბურთელი მას არ გამოადგებოდა... როგორც შემდეგ გავიგე, მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს კეთილაძეს დაუცავია ჩემი თავი და უთქვია: — „ეს წესიერი ბიჭი და კარგი ფეხბურთელიაო“; თანაც გუნდში მყოფმა ვეტერანებმაც მხარი დამიჭირეს და გუნდში დავრჩი.

●

1976 წელი... ნოდარ ახალკაცის და მისი ბრწყინვალე ანსამბლის აღზევების ხანის დასაწყისი. ეს წლები იყო ყველაფერი — სავსე ტრიბუნები, გახარებული გულშემატკივრები, მაღალი შედეგები და, რაც მთავარია, — მაღალი კლასის ფეხბურთი, რასაც დინამოელები თითქმის ყოველ მატჩში აჩვენებდნენ. იმ 1976 წელს შოთა ხინჩაგაშვილი ჟურნალ „სპორტივნიე იგრის“ გამოკითხვით უძლიერეს მცველად იქნა მიჩნეული, იმავე წელს დაასახელეს პირველ ნომრად „33 საუკეთესოთა“ შორის და ნაკრებშიც მიიწვიეს. და ამ დროს შოთა ხინჩაგაშვილი უკვე დაცვის ცენტრში, ყველაზე პასუხსაგებ და ძნელ ადგილზე თამაშობდა — ე. წ. „ლიბეროს“ (უკანა მცველის) პოზიციაზე.

●

— ერთხელ, ვარჯიშის შემდეგ მე და ნოდარ ახალკაცი „დინამოს“ ავტობუსით სახლში ვბრუნდებოდით. მისი ჩასვლის დრო რომ მოვიდა, მითხრა: — „შოთიკ, ცენტრში უნდა ითამაშოვო“, რაზეც ჩემი კატეგორიული უარი მიიღო. თუმცა, თავისი თავდაჯერებულობით მომაძახა — „არა, შენ დაცვის ცენტრში იქნებიო...“

**— ბატონო შოთა, როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან, თქვენ საკმაოდ კორექტული ფეხბურთელის სახელი გქონდათ და აი, ორი უსიამოვნო ეპიზოდის გახსენება მინდა თქვენთვის — „გრასჰოპერსთან“ და „ფეიენოორდთან“...**

— იმ ფრანგმა სომეხმა **(რაშ კიტაბჯანმა — გ. ტ.)** ყველა ღონე იხმარა, რომ „დინამო“ შემდეგ წრეში არ გასულიყო. გუშინდელ დღესავით მახსოვს, როცა ანგარიში მასპინძლებს მიჰყავდათ — 1:0, ალექსანდრე ჩივაძე მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ მეტოქეთა მცველებმა თავიანთ საჯარიმოში უკიდან მოცელეს, რაზეც კიტაბჯანს არავითარი რეაგირება არ მოუხდენია. არადა, ყველაფერს საკმაოდ კარგად ხედავდა: მეც მსაჯთან მივედი და პენალტი მოვთხოვე, თან ხელი მოვკიდე მკლავზე და, ეტყობა, მაგრად მომივიდა (შეიძლება დაეტყო კიდევაც...) და ყვითელი ბარათიც ვიხილე ჩემს წინ. ამაზე თავი უფრო ველარ შევიკავე და როგორც მაშინდელ გაზეთებში ეწერა, „საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელი საქციელი“ ჩავიდინე...

რაც შეეხება 1981 წელს როტერდამში „ფეიენოორდთან“ გამართულ მატჩს, მე ამისთანა მიკერძოება და ტენდენციურობა ჯერ არც მახსოვს. ავსტრიელმა ფრანც ვიორერმა ორი პენალტი არ „მოგვცა“ და ორი ბურთიც არ ჩაგვითვალა, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მატჩის მიწურულს თვით ჰოლანდიელი ფეხბურთელებიც კი მოტყდნენ ფსიქოლოგიურად.

**— და ამ მატჩში შოთა ხინჩაგაშვილმა მეორე გაფრთხილება მიიღო, რომელიც მას საშუალებას არ აძლევდა ეთამაშა ფინალში „კარლ-ცაისთან“...**

— წყენა რომ დიდი იქნებოდა, ეს, თავისთავად, გასაგებია. თასების მფლობელთა თასის იმ გათამაშებაში ყველა მატჩში მივიღე მონაწილეობა და ფინალში ვერ უნდა გამოვსულიყავი. ასეთივე ამბავი შემემთხვა 1978 წელსაც, როცა ჩემპიონები გავხდით, მაშინ ხომ ბოლო ათი თამაში ტრავმის გამო არ მითამაშია. მაგრამ, ყველაზე საწყენი მაინც ის იყო, რომ იენაში ტურისტადაც არ წამიყვანეს... ერთ რამეს არ ვნანობ მხოლოდ — ის, რაც 13 მაისის ღამეს მე თბილისში და, კერძოდ, „დინამოს“ სტადიონზე ვნახე, ეს ჩემმა ბიჭებმა ვერ ნახეს. ეს იყო საოცრება — თუ როგორ შეეძლო მადლიერ გულშემატკივარს გამოეხატა თავისი უსაზღვრო სიხარული ამ ისტორიულ გამარჯვებისადმი. მაგრამ გულში მაინც იყო რაღაც დარდი, მინდოდა, ბიჭების გვერდით ვყოფილიყავი იმ დღეს...

●

თუმცა აქ არაფერია გასაკვირი. ქართველებს მოგვდგამს დაუფასებლობის სინდრომი... გავიხსენოთ, რამდენი ფეხბურთელი წავიდა დიდი სპორტიდან, უბრალო მადლობაც რომ არ გვითქვია. რომელი ერთი გავიხსენოთ, თუნდაც იმ ბრწყინვალე თაობის შესანიშნავი წარმომადგენლები — ჯერ ვახტანგ ქორიძე, შემდეგ მანუჩარ მაჩაიძე, მერე დათო ყიფიანი, და ბოლოს შოთა ხინჩაგაშვილი...

●

— ყოველ დიდ წარმატებას გარკვეულწილად აუცილებლად მოჰყვება ფსიქოლოგიური ჩავარდნა. ასე დაგვემართა ჩვენც 1981 წლის შემდეგ. თანაც ამ ხშირმა ტრავმებმა ხომ სულ მომიღეს ბოლო. მე კი არა, ალბათ, ხალხსაც მოსწყინდა ჩემი ამდენი ტრავმები... და სიმართლე რომ გითხრათ, უკვე დიდი ხანი ვემზადებოდი წასვლისთვის. 1982 წლის ბოლოს კი საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ ფეხბურთს დავემშვიდობოდი...

**— ამის შემდგომ როგორ წარიმართა თქვენი საქმეები?**

— სანამ „დინამოში“ ვთამაშობდი, ჯერ ფიზკულტურის ინსტიტუტი დავამთავრე, შემდეგ კი უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტიც. ფეხბურთს რომ თავი დავანებე, ძალზე ცოტა ხანი გუნდში ვიყავი მესამე თუ მეოთხე მწვრთნელად, რის შემდეგაც გამომძიებლად დავიწყე მუშაობა მაშინდელ ორჯონიკიძის რაიონში, სადაც წელიწადნახევარი დავყავი. ნოდარ ახალკაცის გუნდში დაბრუნების შემდეგ, მისივე მიწვევით „დინამოს“ გუნდის უფროსად დავინიშნე. რომ არ მოგატყუოთ, ძალიან გამიჭირდა. ბევრი ჩემი ყოფილი თანაგუნდელი იყო, ბევრიც ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო და, იმედია, ამ უკანასკნელთ არ ეწყინებათ, თუ ვიტყვი, რომ მათი დამოკიდებულება ფეხბურთისადმი სულ სხვანაირი იყო, ვიდრე ჩვენი თაობისა. თვალის დახუჭვაც მე არ შემეძლო და ერთი წლის შემდეგ ისევ შინაგან საქმეთა ორგანოებს დავუბრუნდი. ეს ბოლო წელიწადნახევარი კი ჩემს მშობლიურ რუსთავში გადმოვედი, სადაც უამრავი მეგობარი მყავს...

**— ბატონო შოთა, ისევ ფეხბურთს დავუბრუნდეთ და იქნებ ჩვენს პირველ ეროვნულ ჩემპიონატზეც გვითხრათ რამდენიმე სიტყვა?**

— სიამოვნებით. თვით ფაქტი, რომ ჩვენ ჩვენი, დამოუკიდებელი ჩემპიონატი ჩავატარეთ, უკვე ბევრს ნიშნავს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრია კიდევ გასაკეთებელი. პირველ რიგში მოსაწესრიგებელია სტადიონები, აუცილებელია ადგილებზე ხალხთან მუშაობა, თორემ ხანდახან ისეთ რამეს წავიკითხავ ხოლმე, რომ სიმართლე რომ გითხრათ, ვერც დამიჯერებია — ეს ქართველმა გააკეთა-მეთქი?.. მაგრამ ეს ყველაფერი სიძნელეები, ვფიქრობ, მალე დაიძლევა და ჩვენც საერთაშორისო სარბიელზე გავალთ.

**— სამწუხაროდ, ფიფაც და უეფაც ერთობ ბიუროკრატიული და, ცოტა არ იყოს, ძალიან კონსერვატორული აპარატი აღმოჩნდა...**

— ბოლოსდაბოლოს სამართალმა პური ხომ უნდა ჭამოს? ფეხბურთში მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, მალე ყველანაირად დამოუკიდებლები გავხდებით და კვლავ გაიხსენებენ, რომ ეს ის ბიჭები არიან „კარაველას თასი“ რომ მოიგეს, „ლივერპული“, „ვესტ ჰემი“, „ინტერი“ და „ფეიენოორდი“ დაამარცხეს, 1981 წელს თასი რომ აიღეს და არ დაიშურებენ ეპითეტებს მამუკა ფანცულაიასთვის და დიმიტრი კუდინოვისთვის, თემურ ქეცბაიასთვის და კახი ცხადაძისთვის, ოთარ კორღალიძისთვის და მელორ ბიგვავასთვის. მე ოპტიმისტი ვარ და, მჯერა, რომ ეს მალე იქნება.

**— ძალიან კარგი. ბატონო შოთა, ღმერთმა ქნას და მართლა მალე გვენახოს ეგ ბედნიერი წუთები და რახან მხოლოდ ალიარებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, იქნებ დაგვისახელოთ თქვენი იდეალი ფეხბურთში და ნაკრებიც, რომელსაც თქვენ თაყვანს სცემთ?**

— როგორც მცველი, ამ ამპლუაში პირველს მურთაზ ხურცილავას დავასახელებდი... საერთოდ კი, პელე ერთია და ასევე დარჩება განუმეორებლად. იგივე შეიძლება ითქვას ბრაზილიის ნაკრებზეც, რომელსაც ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ. შესარჩევ მატჩებში რომ წარუმატებლად გამოვიდეს, რა ვქნა, მაინც მაგათ მხარეზე ვარ... ახლანდელი თაობიდან კი მარკო ვან ბასტენი და რუუდ გულიტი მიმაჩნია უპირველესად.

**— იდეალური მწვრთნელი?**

— რა თქმა უნდა, ნოდარ ახალკაცი...

**შოთა ხინჩაგაშვილი... მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მისი თამაშები მინახავს და ერთ რამეს ვაკვირდებოდი ყოველთვის — არ ყოფილა თავდამსხმელი, მისთვის რომ გვერდი აევლო. „ბებერი ლომი“ (როგორც ეძახდნენ სიყვარულით შოთა ხინჩაგაშვილს მის ბოლო წლებში) ყოველთვის გვევლინებოდა, როგორც ფეხბურთის ჭეშმარიტი რაინდი და როგორც თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი... და ეს ინტერვიუც მინდა, რომ მისი სიტყვებით დავამთავრო:**

— ფეხბურთს რომ თავს დაანებებ, უკან უნდა მოიხედო. მე ახლა, რომ იტყვიან, ინვალიდი ვარ — ორჯერ ტვინის შერყევა, მუხლის ოპერაცია, მხარი ახლაც მივარდება... მაგრამ, ბედნიერი ვარ, რომ „დინამოში“ ვითამაშე. სხვანაირად არ გამიგოთ, მაგრამ მე იმის შეგრძნება არა მაქვს, რომ რაღაც ვერ გავაკეთე, ხალხს ვერ ვემსახურე... ერთი რამ მინდა ვუსურვო ახალგაზრდებს (თუ, რა თქმა უნდა, საწყენად არ მიიღებენ). საჭიროა მეტი ვარჯიში, მონდომება და პატრიოტიზმი, პირველ რიგში, იმ გუნდის მიმართ, სადაც ისინი თამაშობენ. არ შეიძლება ფეხბურთელი 10 წელი იყოს გუნდში და არაფერი შემატოს მას. ყოველ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიყვანა უნდა, თუ გინდა პროფესიონალი რომ იყო. ერთიც კიდევ — დღევანდელ თაობას ვურჩევ, რომ დიდად განესხვავებინოს ერთმანეთში წაგება და დამარცხება. იმაზე საშინელი არაფერი არ არის, როცა მოედანს დამარცხებული სტოვებ, ხოლო შეიძლება წააგო, მაგრამ მაინც ტაში დაგიკრან. ეს ტაში ყველაფერს უდრის, ეს ხომ გულშემატკივარის შეფასებაა, იმ გულშემატკივარისა, რომელსაც ფეხბურთი უყვარს...

ესაუბრა
**გია ტუხაშვილი**

**ვარლამ შენგელიას ფოტო.**

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**პირველად საქართველოს ისტორიაში**

უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით, საქველმოქმედო ასოციაცია **„ალორძინებამ“** გამოსცა ქართული ეპარქიების რუკა - **„ქრისტიანული საქართველო“.**

რუკები შეგიძლიათ შეიძინოთ ქართულ ეკლესიებში. შემოსული თანხა გადაირიცხება სოფელ **ჰუჯაბის** მშენებლობის ფონდში.

**სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“**




VISA

**ვიზების სათარგმნად**

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „ზევსს“, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 22-58-40 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი №3.

**სარეკლამო სააგენტო „არგო—ბლიკი“**

## რეკლამის მსურველებს

**საწარმოებს**

**ფირმებს**

**კოოპერატივებს**

**კერძო პირებს**

თუ გსურთ საკუთარი საქმიანობის ან პროდუქციის რეკლამირება გაზეთით ან ტელევიზიით, გახსოვდეთ, რომ გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“ და სატელევიზიო გადაცემების „ილუზიონი“—სა და „ვიდეო-ვიდეო“—ს ეთერული დრო საუკეთესო პირობებს შეგიქმნით ამისათვის.

რეკლამების შესაკვეთად მიმართეთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ.№1

ტ: 37-58-25
37-06-64

ფირმა **„არგო“-ს**
სარეკლამო სააგენტო
**„არგო-ბლიკი“**



**იყიდება**

„ჩერნიგოვის“ მარკის ავტობუსი.

მსურველებს შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1. ტელეფონები: 37-58-25 (11.00სთ-დან 16.00სთ-მდე).
62-19-74 (19.00სთ-დან 21.00სთ-მდე).

**სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“**

## კოოპერატივი „საჰანე“

კერძო ავტომანქანების მფლობელებს სთავაზობს მოსახლეობის მომსახურებას. გადასახადი თვეში 30 მანეთია.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გლდანის მასივი, V მიკრორაიონი, აგროსამრეწველო ბანკის მიმდებარე ტერიტორია, წითელი ჯიხური წარწერით „საჰანე“ (9.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე).

**სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“**




## იყიდება

კომპიუტერი, რომელიც ამზადებს პორტრეტებს კომპიუტერული გრაფიკით. კომპიუტერის წარმადობაა - პორტრეტი — 2 წთ.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ბუდაპეშტის ქ.№1, კოოპერატივი „საჰანე“.

ტელ: 37-58-25 (11.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე).

**სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“**



გვერდი აწყობილია კომპიუტერზე კოლექტიური სარგებლობის საინფორმაციო-გამოთვლით ცენტრში.

**მისამართი:** თბილისი, წერეთლის ქ. №130.
**ტელეფონი:** 35-26-44.

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-80-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქტორი **მერაბ ბალარჯიშვილი**

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.